ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 15 მაისი, 2020 №107 (8371) ფასი: 60 თეთრი

ამირან ქადაგიშვილისა და მისი შვილის სასარგებლოდ სტრასბურმა საქართველოს 12.000-12.000 ევროს გადახდა დააკისრა

გვ.5

„ოცნებამ“ ხაზარაძე-ჯაფარიძისგან მოწინააღმდეგე თვითონ შექმნა

გვ.2

ლევან ალაფიშვილი: „ამ მთავრობის პირობებში ანაკლიის პროექტი დამთავრებულია“

„გახარია თუ წავიდა, ივანიშვილი დაბრუნდება“

გვ.3



სანდრო ბრეგაძე: „მინისტრთა კაბინეტიდან ჩემი გაშვების ინიციატორები იყვნენ გია ხუხაშვილი, თინა ხიდაშელი, ძმები ბერძენიშვილები“

20 ივნისს აქცია გაიმართება!

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „გადაგდებასა“ და ძალადობას ვერ შევეგუებით!“

გვ.4

ამირან სალუქვაძე: „ოცნება“ საერთაშორისო არენაზე მოიკოჭლებს“

სიმონ ავალიანი ციხეში წელიწად-ნახევარი უდანაშაულოდ იჯდა

ის უზენაესმა სასამართლომ გაამართლა

გვ.5

გვ.4

ოკუპირებულ აფხაზეთში უარყოფენ ინფორმაციას რესპუბლიკაში არალეგალი რუსი დამსვენებლების ყოფნის შესახებ

ISSN 1987-9385

2 გიორგი კახიანი: „საკონსტიტუციო ცვლილებებს ოპოზიციის მხარდაჭერაც დასჭირდება“

2 18 მაისიდან სილამაზის სალონები და ესთეტიკური მედიცინის ცენტრები გაიხსნება

5 შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 102 ფაქტი გამოავლინა

6 იტალიაში არალეგალ მიგრანტებს ქვეყანაში კანონიერად დასაქმების უფლება მიეცემათ

„ოცნებამ“ ხაზარაძე-ჯაფარიძისგან მოწინააღმდეგე თვითონ შექმნა

ლევან ალაფიშვილი: „ამ მთავრობის პირობებში ანაკლიის პროექტი დამთავრებულია“

იაგო ნაცვლიშვილი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ „თიბისის“ საქმეზე აქვეყნებს დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტის მიერ მომზადებულ დასკვნას, რომელიც ეხება ფულის გათეორების სისხლისსამართლებრივ დევნას. დასკვნაში ნათქვამია, რომ არ არსებობს საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ მამუკა ხაზარაძემ, ბადრი ჯაფარიძემ და ავთანდილ წერეთელმა ინდივიდუალურად ან ჯგუფურად ფულის გათეორების დანაშაული ჩაიდინეს.

„გამჭვირვალობამ“ ექსპერტი კონკურსის საფუძველზე 2020 წლის იანვარში შეარჩია. კვლევა ჩაატარა პოლინ დევიდმა, რომელიც არის პრაქტიკოსი ადვოკატი (სიდნეი, ავსტრალია) 30-წლიანი გამოცდილებით, ავსტრალიის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ექსპერტი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

რა დასტურდება საერთაშორისო ექსპერტის მიერ ჩატარებული კვლევით და რას გვეუბნება მთავრობის წევრების განცხადებები და ქმედებები ანაკლიის პორტსა თუ პოლიტიკურად მოტივირებულ მართლმსაჯულებაზე? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი **ლევან ალაფიშვილი** საუბრობს.

– რას ნიშნავს საერთაშორისო ექსპერტის ეს დასკვნა და დასტურდება თუ არა, რომ თავიდან ბოლომდე ეს საქმე პოლიტიკურად იყო მოტივირებული?

– ეს ნიშნავს იმას, რაზეც ერთ წელიწადზე მეტია, ვსაუბრობთ, ანუ იმ დროიდან, რაც ეს საქმე დაიწყო და რასაც ვამბობდით თავიდანვე, რომ აქ საქმე დანაშაულთან არ გვაქვს. სახელმწიფო, ამ შემთხვევაში მთავრობა და ეროვნული ბანკი, ახორციელებენ პირდაპირ შეტევას კონკრეტულ პირებზე. კანონით, კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული უფლებების უგულებელყოფა ხდება ამ ადამიანებთან მიმართებით. ეს ხდება ერთადერთი მიზნით, რომ გაანეიტრალონ მათი პოლიტიკური აქტივობა.

სხვათა შორის, მაშინ პოლიტიკური აქტივობა გაცხადებული არ ჰქონდათ. ისინი იყვნენ საფინანსო ინსტიტუტის მმართველობასა და ანაკლიის კონსორციუმის მართვაში, მაგრამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა პოტენციური მოწინააღმდეგის ჩამოსაშორებლად. მათ აღიქვამდნენ საფრთხედ.

ძალიან უნდა მოინდომო, რომ ამ ყველაფერში დაინახო დანაშაული, იმიტომ, რომ სახელმწიფო, ამ შემთხვევაში გამოძიება, ამ ხალხს ეუბნება, საკუთარ თავს მოჰპარე ფული და გაათეთრეო.

– საერთაშორისო ექსპერტი იმაზეც საუბრობს, რომ დანაშაული რომც იკვეთებოდეს, ხანდაზმულობის ვადაა გასული...

– მეც ზუსტად ამას ვამბობ. ორი რაღაცაა ამ საქმეში – ფულის გათეთრება და ხანდაზმულობა. ხანდაზმულობას თავი დავანებოთ, ხომ არსებობენ აქციონერები, რომლებიც არ დავობენ, ყოველ შემთხვევაში – სამოქალაქო წესით. ღიად არ გვინახავს მათი დავა. ის ფული აქციონერებისაა და ისინი არ დავობენ ამაზე.

ხანდაზმულობას რაც შეეხება, საერთაშორისო პრაქტიკაში არ არსებობს ასეთი რაღაც, როდესაც ფული გამოდის ბანკიდან და ის არის შავი ფული. საქართველოს მთავრობა თუ ცდილობს, ახალი მექანიზმი შექმნას, არა მგონია, ამ მიმართულებით წარმატებას მიაღწიონ.

– ეს თემა ბუნებრივად ებმება ორ მნიშვნელოვან თემას – ანაკლიასა და პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებს. ეკონომიკის მინისტრი გვიმეორებს, რომ პირველივე შესაძლებლობაზე მოძებნიან ინვესტორს და დაიწყებენ პროექტის განხორციელებას. ეს რეალურია თუ თავის მართლების პოზიციაა?

– პოლიტიკოსები ბევრ რამეს იტყვიან, მით უმეტეს, რომ საზოგადოების ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონე ამ საკითხზე დაბალია. შესაბამისად, ისინი საკუთარი იმიჯის დადებითად წარმოსაჩენად ხშირად არასწორ ინფორმაციასაც ავრცელებენ ხოლმე, მთავრობის წარმომადგენლები – მით უმეტეს.

ოქტომბრამდე თეორიული შანსიც კი არ არსებობს, რომ ანაკლიაში გამოჩნდეს ინვესტორი. ხელშეკრულებების მომზადებაც კი ვერ მოესწრება, არათუ ხელმოწერა. თუ ოქტომბრამდე ეს ვერ მოესწრება, ქალბატონი თურნავა იქნება კიდევ მთავრობაში, ან ეს მთავრობა იქნება კი საერთოდ?! ძალიან მაღალი ალბათობით, სახელისუფლებო შტოები, პარლამენტი და მთავრობა, არსებითად განსხვავებული იქნება როგორც შემადგენლობით, ისე – შინაარსით.

– იმაზეც ხომ არ არის გათვლა, რომ წინ არჩევნებია და არ აწყობთ წინასწარ თქმა, რომ წყდება პროექტი, თუნდაც იმიჯის თვალსაზრისით?

– არა, მე სხვა რამეზე ვაკეთებ აქცენტს. ნათელა თურნავა დღეს რომ მეუბნება, რომ რაღაცას გააკეთებს არჩევნების შემდეგ, თვითონაც არ იცის, იქნება თუ არა მთავრობაში და მე როგორ მეუბნება?! ამის იქით მსჯელობაც კი აღარ უნდა წავიდეს. ამ მთავრობის პირობებში ანაკლიის პროექტი დამთავრებულია.

– პოლიტიკურ კონტექსტსაც შევხედოთ. რეალურად ეს გახდა ის საქმე, რითაც დაიწყო პოლიტიკური მართლმსაჯულების ახალი სერია. ამაზე რა შეგიძლია თქვათ?

– მართალია, ჯერ სასამართლო არ დასრულებულა ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმეზე და დევნა მიმდინარეობს, მაგრამ უმთავრესს გეტყვით – ეროვნულმა ბანკმა ხაზარაძესა და ჯაფარიძეს, მათი ოჯახის წევრებსა და მათთან კავშირში მყოფ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს სამუდამოდ აუკრძალა ბანკთან ფინანსური ურთიერთობა. მაგალითად, მე და თქვენ შეიძლება გვქონდეს ბანკის საკრედიტო ბარათი. ისიც კი აუკრძალა ამ ადამიანებს, მათ შვილებსაც და შვილიშვილებსაც. ეს გააკეთა ეროვნულმა ბანკმა, რომელიც პოლიტიკის მიღმა ინსტიტუტი უნდა იყოს.

სასამართლოზე აღარაფერს ვამბობ, ამაზე წუხილი ქვეყანაშიც და მის გარეთაც არაერთგზის გვესმის. კობა გვენეტაძემ თავიც კი ვერ იმართლა. სუს-ს დაქვემდებარებული ეროვნული ბანკი რომელიმე ქვეყანაში გინახავთ? სადმე გინახავთ, რომ სპეცსამსახურს დაქვემდებარებული რომელიმე უწყება წარმატებული იყოს?! მით უმეტეს, პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებებში ასე ვერ იქნება.

– ეს გახდა დასაბამი პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების, დევნის თუ, რაც გინდათ, ის დავარქვათ?

– რა თქმა უნდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ თურმე ეს პროცესი დიდხანს მიმდინარეობდა, როგორც შემდეგ ხაზარაძემ პარლამენტში გამოსვლისას თქვა. თუ სწორად მახსოვს, ე.წ. ფულის გათეთრების თემა და ა.შ. მიმდინარეობდა 2012 წლის ზაფხულიდან. შესაბამისად, ამ პირობებში სხვა რამე რომ დავუშვათ მსჯელობისთვის, უბრალოდ, არ არსებობს, გარდა ერთი რამისა, რომ მმართველ პოლიტიკურ ძალას, მისი დაღმავალი რეიტინგისა და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში დამკვიდრებულია კანონზომიერება, რომ ვერც ერთი ხელისუფლება ვერ ინარჩუნებს ხელისუფლებას ორ ვადაზე მეტი ხნით, ეშინოდა წარმატებული, პოლიტიკაში იქამდე არმყოფი ადამიანების გამოჩენის, იმიტომ, რომ ეს ნიშნავდა მათ უპირობო დასასრულს.

მიუხედავად იმისა, რომ ხაზარაძესა და ჯაფარიძეს პოლიტიკური მიზნები გაცხადებული მაშინ ჯერ არ ჰქონდათ, ხელისუფლება მაინც ასეთად აღიქვამდა მათ. სწორედ ამ მიზნით დაიწყეს ეს შეტევა, თუმცა სანაცვლოდ უკუშედეგი მიიღეს, იმიტომ, რომ ამით ისინი გააძლიერეს, რადგანაც მათ აქვთ ხელისუფლებისგან დევნილის სტატუსი.

ეს ჩანს ქვეყნის შიგნითაც და ეს გაუღერდა სტრატეგიული პარტნიორების მხრიდანაც. შესაბამისად, პოლიტიკურ ველზე მიიღო ახალი და მზარდი პერსპექტივის მქონე გუნდი. საბოლოო ჯამში, თავისი კონკურენტი ეს გუნდი თვითონვე შექმნა.

გიორგი კახიანი: „საკონსტიტუციო ცვლილებებს ოპოზიციის მხარდაჭერაც დასჭირდება“

– საკონსტიტუციო ცვლილებებს ექნება ხელისუფლების მხრიდან სრული მხარდაჭერა, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი, რომ კონსტიტუციური ცვლილება განხორციელდეს.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერმა გიორგი კახიანმა განაცხადა.

მისივე თქმით, საგანგებო მდგომარეობის პირობებში კონსტიტუციის განხილვა შეუძლებელია და, როგორც კი ეს მდგომარეობა შეიცვლება, მისი განხილვა დაიწყება.

– პირობა, რომელიც დავდეთ, ხელისუფლების მხრიდან აუცილებლად შესრულდება. საკონსტიტუციო ცვლილებებს ექნება ხელისუფლების მხრიდან სრული მხარდაჭერა, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი, რომ კონსტიტუციური ცვლილება განხორციელდეს. ამას, ცხადია, სჭირდება ოპოზიციის მხარდაჭერაც.

თუ ოპოზიციის მხრიდან მხარდაჭერა არ იქნება, ეს იქნება მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობა და ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, რომ ისინი არ არიან მზად, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღოთ, – განაცხადა კახიანმა.

მისივე თქმით, ფაქტია, რომ ოპოზიცია არ აპირებს იმ პირობების შესრულებას, რომლებიც შეთანხმებიდან გამომდინარეობს. კახიანი ამბობს, რომ შეთანხმების ორივე ნაწილს სწორედ ოპოზიცია არღვევს.

– ეს, სავარაუდოდ, არჩევნებთან მიმართებით მათი შიშით არის განპირობებული. როგორც ჩანს, განსაკუთრებით იმ ფონზე, თუ რაოდენ წარმატებულია ჩვენი ქვეყანა ვირუსთან ბრძოლის თვალსაზრისით, მათ კიდევ უფრო გაუმძაფრდათ იმის განცდა, რომ არჩევნებთან დაკავშირებით ხელისუფლებაში მოსვლის არანაირი შანსი არ გააჩნიათ და გადაწყვიტეს, არაკონსტრუქციული მიდგომითა და იმაზე საუბრით, რომ მხარს არ დაუჭერენ ცვლილებებს, გარკვეული დესტრუქციული ქმედებები განახორციელონ. მაგრამ ასეთ ქმედებებს არანაირი შედეგი არ ექნება.

შეთანხმების პირობები რაც იყო, ამას ხელისუფლება აუცილებლად შეასრულებს. ოპოზიცია კი საუბრობს ისეთ საკითხებზე, რომლებზეც რეალურად შეთანხმება არ მომხდარა, შეთანხმება არ ყოფილა არანაირ პოლიტპატიმრების თემაზე და ა.შ.. შეთანხმება იყო საარჩევნო სისტემასა და იმაზე, რომ არ მომხდარიყო მართლმსაჯულების პოლიტიზება. შეთანხმების ორივე ნაწილს ოპოზიცია არღვევს და ორივე შემთხვევაში ხელისუფლებისგან ითხოვს ისეთ ქმედებებს, რასაც, ცხადია, ჩვენ არ შევასრულებთ, რადგან ასეთი რამ შეუძლებელია, შეთანხმებით ყოფილიყო გათვალისწინებული, – განაცხადა კახიანმა.

18 მაისიდან სილამაზის სალონები და ესთეტიკური მედიცინის ცენტრები გაიხსნება

იქნება ელექტრონული რიგი, სოციალური დისტანცია და ნაკლები ადამიანი

პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას განცხადებით, 18 მაისიდან სილამაზის სალონები და ესთეტიკური მედიცინის ცენტრები გაიხსნება.

ამის შესახებ გახარიამ 14 მაისს გამართულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა იძლევა საშუალებას, რომ გარკვეული ეტაპები დაჩქარდეს.

– ეკონომიკის გახსნასთან დაკავშირებით, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია, რამდენიმე ეტაპი დავაჩქაროთ და ამ შესაძლებლობის ფარგლებში მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 18 მაისიდან გაიხსნას სილამაზის სალონები და ესთეტიკური მედიცინის ცენტრები, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ნათია თურნავას განცხადებით, სილამაზის სალონებში, რომლებიც 18 მაისიდან გაიხსნება, იქნება ელექტრონული რიგი, სოციალური დისტანცია და ნაკლები ადამიანი. ამის შესახებ თურნავამ მთავრობის ადმინისტრაციაში სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც თურნავამ აღნიშნა, სილამაზის სალონებში სულ სხვა პრინციპებზე აწყობილი პროცედურები იქნება, რასაც თავად ეს ბიზნესი პასუხისმგებლობით მოეკიდა.

– სილამაზის სალონები, რომელიც არის ძალიან დიდი სეგმენტი მცირე ბიზნესის, ინდმეწარმეებისა და მიკრომეწარმეების, ასაქმებს ბევრ ადამიანს და საკმაოდ დიდი მოთხოვნაც არსებობს ამ სერვისებზე, იყო ძალიან პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი ჩვენთვის. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ეპიდემიოლოგიური ვითარება გვაძლევს საშუალებას, მკაცრი სტანდარტების დაცვით 18 მაისიდან მოხდეს სილამაზის სალონების აღდგენა.

მე და ჩემს კოლეგებსაც მჭიდრო კომუნიკაცია გვაქვს ბევრ ბიზნესთან და მათ შორის სილამაზის სალონებთან, იქ დასაქმებულ ადამიანებთან, ვიცი, რომ ძალიან დიდი პასუხისმგებლობით მიუდგნენ ყველა იმ შეზღუდვას, რომლებიც იქნება დაწესებული. ეს უკვე იქნება სულ სხვა პრინციპებზე აწყობილი პროცედურები, ნაკლები ადამიანი იქნება, ელექტრონული რიგი იქნება, სოციალური დისტანცია იქნება დაცული და ჩვენც ასევე პასუხისმგებლობით უნდა მივუდგეთ ამ საკითხს, როგორც მომხმარებლები.

ვფიქრობ, ძალიან დროული და კარგი გადაწყვეტილებაა, რომელიც წაადგება აქ დასაქმებულ ათასობით ადამიანს, – განაცხადა თურნავამ.

იპნ

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარია თუ წავიდა, ივანიშვილი დაბრუნდება“

სანდრო ბრეგაძე: „მინისტრთა კაბინეტიდან ჩემი გაშვების ინიციატორები იყვნენ გია ხუხაშვილი, თინა ხიდაშელი, ძმები ბერძენიშვილები“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ სანდრო ბრეგაძე პასუხობს.

– ბატონო სანდრო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? გვესმის შეფასებები, რომ „ქართულ ოცნებას“ პანდემიამ ვერ უშველა, ეგონა, თავს დაიძვრენდა, მაგრამ, ვხედავთ, რა განცხადებებიც კეთდება დასავლეთიდან. შესაძლოა, საარჩევნო სისტემის ცვლილებაც ჩავარდეს. რას იტყვით თქვენ?

– დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ჩანს, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებენ. ეს არის ვიზუალურად ორი დაპირისპირებული ძალა, რომლებსაც ერთმანეთის გარეშე არსებობა და სიცოცხლე არ შეუძლიათ. არ იარსებებს ნაციონალური მოძრაობა, არ იარსებებს „ქართული ოცნება“, არ იარსებებს „ქართული ოცნება“, არ იარსებებს ნაციონალური მოძრაობა. ეს უკვე ცალსახად გამოჩნდა.

– ასე არიან ერთმანეთზე დამოკიდებული?

– სწორედ რომ ასეა. გიგა ბოკერია ბევრ „ქართული ოცნების“ დეპუტატზე მეტად არის დაკავშირებული „ქართულ ოცნებასთან“. გიგა ბოკერია და ამ ხელისუფლების საკმაოდ დიდი ნაწილი ერთობლივად დგამენ იმ სპექტაკლებს, რომლებსაც ყოველდღიურად ვადევნებთ თვალყურს. ეს ყველაფერი ემსახურება მოსახლეობის გაბითურების მცდელობას. თუმცაღა კორონავირუსის პანდემიამ აბსოლუტურად სხვა რამ დაგვანახა.

– რა დაგვანახა?

– დაგვანახა, რომ ძველებურად ცხოვრება შეუძლებელია. მე აღარ ვხმარობ ტერმინებს ლიბერასტი, სოროსელი. ამ კლასტერს აქვს მშვენიერი შესატყვისი – ეს არის ურჯულო. ესენი არიან ურჯულოები. ამ ურჯულოების კლასტერის არსებობა ქვეყანაში უნდა ამოიკვეთოს. ეს ურჯულოები არიან ყველაზე დიდი მტრები ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერისა.

– ამ კლასტერში „ქართული ოცნებაც“ შედის?

– დიახ, „ოცნების“ საკმაოდ დიდი პროცენტი. ხელისუფლებაში არის დაახლოებით 20%, რომლებიც ნორმალურად აზროვნებენ, თუმცა 70-80%, თავისი მდინარაძე-კობახიძეებითა და მათი დაჯგუფებებით, არიან ამ კლასტერის წევრები და ესენი ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებენ. ესენი თუ არ ამოვშანთეთ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებიდან, ისე არაფერი შეიცვლება.

ბოკერიასა და დანარჩენებს თუ ჰგონიათ, რომ კორონავირუსი გადაივლის და ძველებურად გაგრძელდება ცხოვრება, ძალიან ცდებიან. არანაირად ძველებურად აღარ გაგრძელდება. ამათ რაც იკადრეს აღდგომის წინა დღეებში, ასეთი რამ არ უკადრიათ ბოლშევიკებსაც კი. ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს მათი სასოწარკვეთილი ფრაზები და ხავილი, არ წახვიდეთ ეკლესიაში, თუ წახვალთ, ქვეყანა დაიქცევა, კუბოების თვლას ვერ აუხვალთო და ასე შემდეგ.

– ეს მოწოდებები იმისთვის კეთდებოდა, რომ ნაკლები ინფიცირებული ყოფილიყო. თქვენ ასე არ ფიქრობთ?

– არა. ეს არ იყო მათი მიზანი. მათი მიზანი იყო, აღდგომა არ ეზეიმათ საქართველოში, ეკლესიები დაკეტილიყო და დაცარიელებულიყო. ჩვენ დღეს მივიღეთ საპირისპირო. აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნის შემდგომ ერთი ინფიცირებულიც კი არ არის.

– არ გვყავს ეკლესიის კლასტერიო, თავადვე განაცხადეს ექიმებმა.

– უფრო მეტიც, აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნის შემდგომ ქართველმა ერმა, რომელმაც არ უღალატა უფალს, არ უღალატა აღდგომის მადლსა და ეკლესიას, ფაქტობრივად, თავისი რწმენით შეძლო ის, რომ ინფექცია დაამარცხა. ვირუსი დავამარცხეთ ჩვენი მართლმადიდებლური რწმენით. ასეთი წივილ-კივილი რომ ჰქონდათ ატეხილი, რატომ არ გამოვიდნენ მერე და ბოდიში რატომ არ მოუხადეს ქართველ საზოგადოებას, მართლმადიდებელ მრევლს, რომ თურმე ცდებოდნენ!

– ახლა გახარიას ცვლილებებზე ალაპარაკდნენ კულუარებში. ამბობენ, რომ მას არჩევნებამდე მოხსნიან, პოლიტპატიმრების საკითხს მას გადააბრალებენ და ასე შემდეგ. რა ინფორმაციები გაქვთ თქვენ?

– სამარცხვინოა ის, რაც ხდება. ბიუჯეტის ქურდი გიგი უგულავა პოლიტპატიმარი?! მართლა პოლიტპატიმრები ვინც არიან, იმაზე ხმას არავინ იღებს და 400 და 500 მილიონის მომპარავზე გაიძახიან, პოლიტპატიმარიაო. ეს უკვე არის საბოლოო დევალვაცია. ეს არის საბოლოო დისკრედიტაცია იმ ღირებულებებისა, რომლებსაც ჩვენ შევნატროდით.

– ხელისუფლების შიგნით რა ხდება?

– ეს ხელისუფლება არ არის. მე ადრეც მითქვამს და ახლაც ვიტყვი: არის ერთადერთი ადამიანი, ბიძინა ივანიშვილი და აბსოლუტურად ყველაფერი მასზეა დამოკიდებული, ეკონომიკიდან და სოფლის მეურნეობიდან დაწყებული, შეიარაღებული ძალებითა და პოლიციით დამთავრებული.

სად გვყავს ხელისუფლება? ყველაფერს ეს ერთი კაცი წყვეტს. თავიდან ბოლომდე მასზე არიან დამოკიდებული და ყველაფერში ჭკუას მას ეკითხებიან, ხოლო ესენი ბიძინა ივანიშვილის სტრატეგიის განმახორციელებელი ჩინოვნიკები არიან. ერთი თუ წავა, მეორე მოვა, რამე შეიცვლება ამ საკადრო ცვლილებებით?! არა! თუკი ბიძინა ივანიშვილი შეცვლის თავის პოლიტიკურ კურსს, მაშინ შეიცვლება, ხოლო სახელებისა და გვარების ცვლილებებით არაფერი მოხდება. ეს, უბრალოდ, ვიღაცების პირადი ინტერესების დაკმაყოფილებაა. რაც შეეხება არჩევნებს...

– რომელი სისტემით ჩატარდება არჩევნები?

– ჯერ ერთი, არა მგონია, ამ პანდემიის პირობებში არჩევნები ჩატარდეს.

– გამოითქვა აზრი, რომ გადაიდება. თქვენც ასე ფიქრობთ?

– დიახ, თუმცა, დღეს რომ გამოვიდეს ხელისუფლება და განაცხადოს, რომ არჩევნები არ იქნება, რა თქმა უნდა, ამას მოჰყვება ძალიან სერიოზული პროცესები, მაგრამ აგვისტოში და სექტემბერშიც ხალხი დაინახავს, რომ პანდემია თავიდან გვიტევს და მეორე ტალღა იწყება. მაშინ უკვე არჩევნების თავი არავის ექნება.

მე უამრავ არჩევნებში მაქვს მონაწილეობა მიღებული. ახლა დაწყებული უნდა იყოს მოსახლეობასთან შეხვედრები, საარჩევნო შტაბები უკვე ჩამოყალიბებული უნდა იყოს. როდესაც შეხვედრებს ვერ მართავ, ე.ი. საარჩევნო კამპანიას ვერ აწარმოებ.

– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება სექტემბერში არჩევნების გადადებას გამოაცხადებს?

– არჩევნები ფიზიკურად ვერ ჩატარდება.

– ხელისუფლებას აწყობს, რომ არჩევნები შემოდგომაზე ჩატარდეს.

– ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, აწყობს, მაგრამ არჩევნები ვერ ჩატარდება. პანდემიის მეორე ტალღის პირობებში არჩევნები ფიზიკურად ვერ ჩატარდება.

– არჩევნები გაზაფხულისთვის გადაიდება?

– მე ვფიქრობ, რომ გადაიდება მანამდე, სანამ ვაქცინა ან წამალი არ იქნება გამოგონებული.

– გახარიას ცვლილებაზე გკითხეთ, შეცვლის მას ივანიშვილი თუ აწყობს ის ხელისუფლებაში?

– ლოგიკითა და წესით, არ უნდა შეცვალოს. სიმართლე უნდა ვთქვათ, გახარიამ, ასე თუ ისე, თავი გაართვა კრიზისულ პერიოდში გარკვეულ სამუშაოებს. გარკვეულწილად, მისი დამსახურებაც არის, ექიმებთან ერთად, რომ ქვეყანაში არ მოხდა ეპიდემიის აფეთქება. ეს დიდი პლუსია გახარიასთვის. ძალიან დიდი ზეწოლაა საქართველოს ხელისუფლებაზე, რომ გახარია მოხსნან.

– ზეწოლა ვისი მხრიდან?

– გარედან არის ძალიან დიდი ზეწოლა. რამდენად გაუძლებს ხელისუფლება ამ ზეწოლას, არ ვიცი. თავის დროზე, როცა რამდენიმე მთავრობის წევრის მოხსნის გამო, მათ შორის ჩემი, სერიოზული ზეწოლა ხორციელდებოდა ხელისუფლებაზე, მათ ამ ზეწოლას ვერ გაუძლეს. პირადად ჩემი მოხსნის გამო ბიძინა ივანიშვილზე შიგნიდანაც დიდი ზეწოლა იყო.

– შიგნიდან ვისი მხრიდან?

– სახელებითა და გვარებით შემიძლია გითხრათ. ბრეგაძე უნდა წავიდეს, ბრეგაძე ეროვნულია, ბრეგაძე პატრიარქსა და ეკლესიას იცავს და ის ჩვენ ხელს გვიშლისო. ამის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორები იყვნენ გია ხუხაშვილი, თინა ხიდაშელი, ძმები ბერძენიშვილები და გიორგი კვირიკაშვილი.

დღეს ყველა ეს პირი უკიდეგანოდ ღანძღავს ბიძინა ივანიშვილს და არც ერთი მათგანი აღარ არის ხელისუფლებაში, არადა, მაშინ ერთგულებას უმტკიცებდნენ. არა მარტო ჩემი, თავის დროზე ღარიბაშვილის წასვლაც იყო საგარეო ფაქტორებით განპირობებული. ასევე პირდაპირ გეტყვით, თინა ხიდაშელისა და ძმები ბერძენიშვილების ულტიმატუმი იყო, ასევე – ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენლის, რომლებიც დღესაც ხელისუფლებაში არიან და საკმაოდ საკვანძო თანამდებობებზე.

ასევე იყო სერიოზული საგარეო ზეწოლა, ღარიბაშვილი უნდა წავიდეს ხელისუფლებიდანო. ვერ გაუძლო ამ ზეწოლას ივანიშვილმა. გახარიას პირობებში გაუძლებს თუ ვერა, უმოკლეს დროში გამოჩნდება. დიდი შანსია, რომ ვერ გაუძლოს.

– თუ გახარია წავიდა, ვის მოიაზრებთ მის შემცვლელად?

– გახარია თუ წავიდა, უნდა დაბრუნდეს ივანიშვილი. სხვა გზა არ არის. „ქართული ოცნების“ გუნდში ნამდვილად ვერ მოვიაზრებ ფიგურას, რომელსაც შეუძლია რამე დადებითის მოტანა მისთვის.

თუმცა „ქართული ოცნება“ უნდა შეეგუოს ერთ რამეს, რომ ისე, როგორც დღეს არის ხელისუფლებაში, ველარასოდეს იქნება. არც მე და არც არავინ მამუკა მდინარაძისა და კობახიძის ბედნიერებისთვის ბრძოლას არ ვაპირებთ. ის მეთოდიც, რომ აი, ბუა მოდის და მიშა მოდის, აღარ იმუშავებს.

რადგან მიშა ვახსენე, აქვე იმასაც ვიტყვი, რომ უკრაინის ხელისუფლებამ საქართველოს წინააღმდეგ მტრული ნაბიჯი გადადგა.

20 ივნისს აქცია გაიმართება!

ლაშა ჩხარტიშვილი: „გადაგდებასა“ და ძალადობას ვერ შევეგუებით!“

ნათია ხურცილავა

„ლიბერალისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის არსებული შეთანხმება ორივე ნაწილში თუ ჩავარდა, როგორ შეიძლება, განვითარდეს მოვლენები? ამაზე თუ იყო ოპოზიციის შეხვედრაზე მსჯელობა?

– ივანიშვილი კვლავ ცდილობს, მთელი მსოფლიო „გადააგდოს“, უკვე ოფიციალურად ჩამოყალიბდა ავტორიტარად. ევროპამ, ამერიკამ აღიარა, რომ მას პოლიტპატიმრები ჰყავს. სანამ მთელ მსოფლიოს არ აღიარებინა, მანამდე ვერ შეიგნო, ვერ გაიგო შერბილებული, დიპლომატიური ტონი. ახლა პირდაპირ უთხრეს, მაგრამ მაინც არ ესმის. ეს ძალიან საშიში ფაზაა. როგორ ამთავრებენ ასეთი მოდიქტატორო ელემენტები საქმიანობას, არაერთხელ გვინახავს. თუკი კეთილგონიერების ელემენტები შერჩენია, ბოლოს და ბოლოს, უნდა გაიგოს, უნდა მიხვდეს.

როდესაც პოლიტპატიმრების არსებობა უდასტურდება ხელისუფლებას, ეს უკვე დასასრულს ნიშნავს. რამდენად მძიმე იქნება ეს დასასრული, უკვე მისი გადასაწყვეტია. ეს გასაღები მის ხელშია. ქვეყანაზე თუ არა, იმედია, საკუთარ მომავალსა და ფულზე მაინც იფიქრებს. სანქციების საფრთხე უფრო და უფრო რეალური ხდება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ვერ გაბედავს და შეთანხმებას ბოლომდე შეასრულებს.

– ხელისუფლება აცხადებს, რომ ოპოზიცია გაკოტრებულია და მათ პროცესების რადიკალიზაცია აწყობთ. 20 ივნისის აქცია დააანონსა შალვა ნათელაშვილმა. ამ საკითხზე ოპოზიცია ერთიანია?

– აქციები ძალიან მნიშვნელოვანია. აქციები არის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და მისი უგულებელყოფა წარმოუდგენელია, მით უფრო ახლა, როდესაც არ ვსაუბრობ მხოლოდ იმაზე, რომ ხელისუფლება გვეუბნება, შეთანხმებას არ შევასრულებ და პოლიტპატიმრებს არ გამოუშვებო.

საგანგებო მდგომარეობის დროს ქვეყანა მშიერი დატოვეს, ადამიანებს უთხრეს, სახლში მშივრები დასხედით, მაგრამ ჩვენ, მაგალითად, რაჭაში ავაშენებთ ჰესებს და კორუფციული გარიგებებით ვისარგებლებთო. ასე უტიფრად გვითხრეს, დიახ, დამანგრეველ პროექტებს განვახორციელებთ სწორედ ამ საგანგებო მდგომარეობის დროსო, მაშინ, როდესაც ერთი ოჯახის წევრებს ერთი მანქანით გადაადგილება არ შეუძლიათ, მაშინ, როდესაც მთელი რიგი გაუგებარი შეზღუდვები ჯერ ისევ ძალაშია და ისევ შეუძლიათ, ადამიანები არანორმალური, გაუგონარი თანხით დააჯარიმონ. ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც ხელისუფლებას არც ერთი თეთრი არ გაუღია. არც ერთი თეთრი არ მიუღიათ ადამიანებს. ეს ყველაფერი უნდა გააპროტესტოს ხალხმა.

– გამოვლენ?

– მე უფრო მაღალი წარმოდგენის ვარ ადამიანებზე. არა მგონია, ვინმე შეეგუოს მშიერ მონობას, ამიტომ ველოდები, რომ ხალხი გამოვა. პროტესტის მიზეზი საკმარისზე მეტია. 20 ივნისს ადამიანებს თვალები დასთხარეს პირდაპირი მნიშვნელობით. ერთი-ორი დამნაშავე პოლიციელი მაინც დაესაჯათ. პირიქით, მხოლოდ დააწინაურეს. ამიტომ 20 ივნისი ძალიან მნიშვნელოვანი თარიღია და მისი ქუჩაში აქციის ფორმით აღნიშვნა საჭიროა, ცხადია, ეპიდემიის ყველა ნორმის დაცვით, დისტანციით, პირბადეებით.

– დაახლოებით რამდენ ადამიანს ელოდებით?

– ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. ჩვენ ნაცვლად აქციაზე ამერიკელები და ევროპელები ვერ დადგებიან. ჩვენი გასაკეთებელი საქმე ჩვენ უნდა გავაკეთოთ. ყველამ უნდა დაინახოს, რომ „გადაგდებასა“ და ძალადობას ვერ შევეგუებით. იმედი მაქვს, ხალხი ამას გააცნობიერებს და გამოვა. მე რატომღაც მგონია, რომ ძალიან ხალხმრავალი აქცია იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ეპიდემიის მხრივ რეკომენდაციების დაცვა ჯერ კიდევ მოგვიწევს. იმედი მაქვს, 22 მაისის შემდეგ საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი აღარ იქნება. თუ 22 მაისის შემდეგ გაგრძელდება კომენდანტის საათი, ეს ნიშნავს, რომ პირდაპირ დიქტატურა გაფორმდება. ეს იქნება გზავნილი, ხმა არ ამოიღოთ, გარეთ არ გამოხვიდეთ, არაფერი გააპროტესტოთო. ამას ნამდვილად დავუპირისპირდებით საპროტესტო აქციით. ეს უკვე იქნება ადამიანებზე ფსიქოლოგიური ძალადობა, ტერორი, ძალის დემონსტრირება, რასაც ვერ შევეგუებით.

– როგორც ვიცი, გაერთიანებულ ოპოზიციაში აზრი ორად არის გაყოფილი. ნაწილის აზრით, საარჩევნო სისტემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი მხარდაჭერა აუცილებელია. მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ შეთანხმების ორივე პუნქტი უნდა შესრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სისტემის ცვლილებას მხარს არ დაუჭერენ. თქვენი პარტია რომელს ემხრობა?

– შეთანხმება ორივე ნაწილში უნდა შესრულდეს. პოლიტპატიმრების გათავისუფლება მნიშვნელოვანია სამართლიანი არჩევნების ჩატარებისთვისაც. ამ შეთანხმებაში საუბარია არა მხოლოდ დაკავებულების გამოშვებაზე, არამედ იმაზეც, რომ ახალი არ უნდა დაიჭიროს პოლიტიკური ნიშნით. მაგალითად, რა გარანტია გვაქვს, რომ რომელიმე მაჟორიტარულ ოლქში ოპოზიციის წარმატებულ კანდიდატს არ დაიჭერს?! ამიტომ არის საჭირო შეთანხმების ორივე ნაწილის შესრულება.

ამირან სალუქვაძე: „ოცნება“ საერთაშორისო არენაზე მოიკოჭლებს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.

– ბატონო ამირან, შეზღუდვები იხსნება და წინ შიდაპოლიტიკური საკითხები იწევს.

– შიდაპოლიტიკაზე საუბარი არ მინდა. შიდაპოლიტიკური საკითხების კომენტირება საკუთარი თავის უპატივცემულობაა.

– რატომ ხდება, რომ მუდმივად ვერ ვთანხმდებით და რაღაც სადავოა? მაგალითად, საარჩევნო კანონთან დაკავშირებით ოპოზიციას კვლავ აქვს მოთხოვნები, რომლებიც, საარჩევნო კანონის ცვლილებასთან ერთად, პოლიტპატიმრების გათავისუფლებას გულისხმობს. არსებული ვითარება რის თქმის უფლებას გაძლევთ?

– მარტივი გადაწყვეტილებაა. ყველას თავისი პოლიტიკური ინტერესი აქვს. ამაზე კომენტარი როგორ უნდა ვაკეთო. ამ ყველაფერზე კომენტარს აკეთებენ მხარეები. ერთი ერთს ამბობს, მეორე – მეორეს, მაგრამ, ფაქტია, რომ შეგნებულად ხდება წინასაარჩევნოდ ვითარების დაძაბვა იმისათვის, რომ მაქსიმალურად დიდი ზიანი მიაყენონ კონკურენტს, ამ შემთხვევაში – ხელისუფლებას. ეს არის და ეს, მეტი არაფერი.

– იმ ვითარებაში, როდესაც მთელი მსოფლიო გაჩერებულია კორონას გამო, რუსეთი არ წყვეტს საქართველოს მიმართ თავის აგრესიულ ქმედებებს, მავთულხლართებს ავლებს, ამ პერიოდში მოქალაქეებიც ჰყავდა გატაცებული. რა პოლიტიკაა ეს? რა შეგიძლიათ თქვათ ამ მიმართულებით?

– რუსეთისაგან სხვა რა არის მოსალოდნელი. ჩვეულებრივად გრძელდება მტრული პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს მიმართ საუკუნეების განმავლობაში ახორციელებდა. ახალი არაფერია. ცვლილებები უარესობისაკენ არის მოსალოდნელი. მიკვირს, დასავლეთი ამას რომ ვერ აცნობიერებს და თავადაც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველოში პრორუსული განწყობები გაძლიერდეს.

ამ ფონზე რუსები მეტად შეეცდებიან, გააძლიერონ გავლენები პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის, საქართველოს მიმართულებით.

– რა მიმართულებით ხედავთ რუსეთის გავლენებს საქართველოში არსებულ ვითარებაში და რა საშუალებებს იყენებს ამისთვის, ჰიბრიდულ ომს აწარმოებს თუ ინფორმაციულ შემოტევებს ახორციელებს?

– ის იყენებს გარკვეულ საშუალებებს, რითაც ხდება გავლენების გაძლიერება. რუსეთი გავლენების შეცვლისთვის მუშაობს, რათა მაქსიმალურად შესუსტდეს პროდასავლური განწყობები ქვეყანაში და ადამიანმა დაიწყოს ფიქრი რუსეთისკენ შემოტრიალებაზე. ეს არის რუსეთის მიზანი. ისინი ცდილობენ, ამ მიზანს აგრესიული პოლიტიკით მიაღწიონ, რასაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ახორციელებენ.

– შეგიძლიათ, დაასახელოთ პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცნენ?

– პრორუსულად განწყობილი პოლიტიკური ჯგუფები ისედაც ნათლად არის წარმოდგენილი, მაგრამ აქ საუბარი არ არის პოლიტიკურ პარტიებზე. რუსეთის მიზანია, საზოგადოებაში განწყობები შეიცვალოს, რუსული განწყობები გაძლიერდეს და იმატოს იმ ადამიანთა წილმა, რომლებსაც საგარეო ორიენტირები შეეცვლებათ.

– საგარეო პოლიტიკური ორიენტირები ხომ განსაზღვრულია პლებისციტით და მიმართულება გარკვეულია? არსებობს დღეს იმის ნიადაგი, რომ რუსეთმა თავის საწადელს მიაღწიოს?

– ორიენტაციის შეცვლის საფუძველი რომ შეიქმნას და განწყობები შეიცვალოს, რუსეთი ამიტომ წვალობს. სხვადასხვა საშუალებით ცდილობენ, პროდასავლური პოზიციები შეასუსტონ. ამას დასავლეთიც უწყობს ხელს.

– რა კუთხით და როგორ უწყობს ხელს დასავლეთი საქართველოში პროდასავლური პოზიციების შესუსტებას?

– ის, რაც ხდება დღეს.

– კონგრესმენებისა და სენატორების წერილებს გულისხმობთ?

– დიახ, მათ წერილებს, განცხადებებს ვგულისხმობ. არ დავიწყებ გარჩევას, ვინ არის მტყუანი და ვინ – მართალი. ისინი არც ღია წყაროებისა და არც სოციალური ქსელების ანალიზს არ აკეთებენ, თუ რა რეაქციებია სოციალურ ქსელებში მათ მიერ გამოხატული.

არ არის პოზიტიური განწყობები, რაც აშკარად არ უწყობს ხელს საქართველოში პროდასავლური განწყობების გაძლიერებასა და განმტკიცებას. დასავლეთმა აქცენტი ამაზე უნდა გააკეთოს.

– დასავლელი პოლიტიკოსების განცხადებების გაანალიზება რთული არ არის. უფრო საინტერესოა, რა იწვევს მათ ასეთ განცხადებებს.

– ზედაპირული დამოკიდებულება და საქართველოში არსებული ვითარების არცოდნა. ამაში დიდი ხანია, ვრწმუნდები.

– მიზეზი ოპოზიციის, კერძოდ, ნაციონალების ლობისტური ჯგუფების გააქტიურება ხომ არ არის?

– ლობისტური ჯგუფები ორივეს ჰყავს. თუ ისინი ახერხებენ, „ქართულმა ოცნებამაც“ უნდა მოახერხოს თავისი პოზიციის გატანა, მაგრამ, ლობისტური ჯგუფების გარდა, არსებობენ სახელმწიფოთა ხელისუფლებები, მთავრობები და მთავრობებმა შესაბამისად უნდა იმოქმედონ.

– „ოცნება“ ამ მიმართულებით კარგად ვერ მუშაობს?

– „ოცნება“ მოიკოჭლებს. მათ ცოტა გვიან დაიწყეს საერთაშორისო არენაზე, პარტნიორ ქვეყნებთან, განსაკუთრებით, აშშ-სთან მუშაობა და ამიტომ ამ მიმართულებით ნაკლებად ეფექტურები არიან.

– ამან მთავრობისთვის რა შედეგი შეიძლება მოიტანოს? ერთი ხომ შეიძლება იყოს რუსეთის გააქტიურება?

– რუსეთი ისედაც აქტიურია. რუსეთის აქტიურობის შესუსტება მოსალოდნელი არ არის. ეს მოსახლეობის პროდასავლური განწყობებისთვის არის ცუდი, როცა ასეთი ურთიერთობებია განცხადებების დონეზე. გადახედონ სოციალურ ქსელს, რას წერს ხალხი. არ ვგულისხმობ ვიწროპარტიულ მხარდამჭერებს. ვგულისხმობ ადამიანებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ნეიტრალურები არიან. დღეს საქართველოს საზოგადოებაში ასეთი ხისტი განცხადებები პოპულარული არ არის.

– სოციალურ ქსელებს თუ დავუჯერებთ, ფეისბუქის ადმინისტრაცია ხან მმართველი პარტიის გვერდებს აუქმებს, ხან – ოპოზიციის ტროლებსა და ბოტებს. ამ ვითარებაში როგორ შეიძლება გავარკვიოთ, ვინ არის მიუკერძოებელი?

– მე არ ვგულისხმობ ცრუ გვერდებს. ჩემი ერთ-ერთი პროფესია ღია წყაროებისა და სოციალური ქსელის ანალიზია. კარგად ვასხვავებ, სად არის ცრუ მოსაზრებები, ცრუ სიახლეები, ცრუ კომენტარები და სად – რეალური ადამიანების მოსაზრებები. ვგულისხმობ არა გაუქმებულ გვერდებს, ტროლებსა და ბოტებს (ზოგი მათ შორის განსხვავებასაც ვერ ხედავს), არამედ რეალური ადამიანების განწყობებს.

მე ამ სივრცეს დიდი ხანია, ვაკვირდები, მაქვს ჯგუფები და გვერდები. სანამ საქართველოს უმეტესი ნაწილი ფეისბუქის აზრზე არ იყო, მე მაშინ კერძო საქმიანობით ვიყავი დაკავებული. საკუთარი ვებსაიტებისა და სოციალური სივრცის ქონის საკმაოდ დიდი სტაჟი მაქვს.

რეალური ადამიანების განწყობები საკმაოდ ნეგატიურია დასავლეთიდან გამოგზავნილი წერილების მიმართ. ეს ადამიანები არ გამოირჩევიან ხელისუფლების მიმართ ლოიალობით, არც ოპოზიციის მიმართ არიან პოზიტიურები. ნეიტრალურები არიან. ასეთი ადამიანი ბევრია.

საარჩევნო ურნასთან ადამიანი თუ რომელიმე მხარეს იხრება და არჩევანს აკეთებს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი ყურმოჭრილი მომხრეა. უბრალოდ, იმ რეალობაში, რაც არის, თავისი შეფასებით, უკეთესი არჩევანი გააკეთა, თუმცა მაინც ნეიტრალურ პიროვნებად რჩება. ასეთ ადამიანებზე ვსაუბრობ.

იგივე ეს ეხება საგარეო ორიენტირებსაც. არიან ადამიანები, რომლებსაც არ მოსწონთ რუსეთის აგრესიული პოლიტიკა და ნეგატიურად არიან განწყობილნი, მაგრამ არ მოსწონთ ისიც, რომ საქართველოსა და დასავლეთს შორის არის ურთიერთობა განცხადებების დონეზე. მეგობრებსა და სტრატეგიულ პარტნიორებს შორის პრობლემები სხვანაირად გვარდება და არა ისე, რასაც ახლა თვალს ვადევნებთ. ეს განცხადებები გამიზნულია არჩევნებისთვის. მე არჩევნებსა და ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს ქვეყანას არ გადავაყოლებდი.

– ჩვენ ახლა დასავლეთზე ვსაუბრობთ, მაგრამ უკრაინასთანაც გარკვეულწილად გაფუჭდა ურთიერთობა სააკაშვილის უკრაინის ხელისუფლებაში დანიშვნის გამო. ხელისუფლებას ელჩი უნდა გამოეწვია თუ შეიძლებოდა, სხვაგვარად გადალახულიყო შექმნილი წინააღმდეგობა?

– ელჩი არ გამოუწვევიათ. ელჩი გამოიძახეს კონსულტაციებისთვის. დიპლომატიურ პრაქტიკაში ეს არის ერთ-ერთი მიღებული ნაბიჯი, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ორ ქვეყანას შორის რაღაც სწორად არ ხდება. მეორე მხარის გარკვეული ქმედებები, კონკრეტულად ამ შემთხვევაში საქართველომ უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილება პოზიტიურად და მეგობრულად ვერ აღიქვა, ისე, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს შეეფერება. ვნახოთ, მომავალში როგორ გაგრძელდება ურთიერთობა. ეს მხოლოდ საქართველოზე არ არის დამოკიდებული.

აქ მე არ ვსაუბრობ სააკაშვილის მიმართ დამდგარ განაჩენებზე და არ ვაკეთებ შეფასებებს. მე ვსაუბრობ ფაქტებზე. ფაქტი იყო ის, რომ საქართველოში მიმდინარეობდა სისხლისსამართლებრივი დევნა და საქართველოს მოქმედ მოქალაქეს უკრაინამ (პორო-შენკომ) მიანიჭა მოქალაქეობა, შემდეგ დანიშნა გარკვეულ თანამდებობებზე, ჯერ მრჩევლად, შემდეგ – გუბერნატორად, შემდეგ ქვეყნიდან გააძევა. მე არც ის მომეწონა, რომ ჩემი ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი გახდა რომელიღაც ქვეყნის (არა აქვს მნიშვნელობა, სტრატეგიული პარტნიორია თუ უბრალო მეზობელი ან გადამთიელი) ჩინოვნიკი. არ მინდა, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი რომელიმე ქვეყნის ჩინოვნიკი იყოს.

– შემდეგ რომ აპატიმრებენ?

– არც ის მომეწონა, როგორც მოექცნენ – გააძევეს ქვეყნიდან, ჩამოართვეს მოქალაქეობა. ეს მიუღებელია. არც ის მომეწონა, როცა ამის შემდეგ იმ ყველაფრის გადახედვის გარეშე მოქალაქეობა დაუბრუნეს და შემდეგ ისევ დანიშნეს საშუალოზე ოდნავ მაღალი რანგის ჩინოვნიკად სხვა ქვეყანაში, სხვა ქვეყნის პრეზიდენტის დაქვემდებარებაში.

პრეზიდენტი არის თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს წვდომა სახელმწიფოს ყველა დონის, ყველა მოცულობის საიდუმლოებებზე, გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს სიმბოლოა. არ შეიძლება, ეს ყველაფერი აქილიკო, შავს თეთრი დაარქვა და თეთრს – შავი, შუბლი შევიკრათ და, რადგან ვიღაცას ეს პოლიტიკურად აწყობს, ტყუილები ვილაპარაკოთ. ეს ელემენტარულია. ვინმეს მოსწონს ის, რომ გერმანიის ყოფილი კანცლერი რუსეთში ჩინოვნიკად ინიშნება რაღაც სახელმწიფო ენერგოსტრუქტურაში? მე არ მომწონს. გერმანელებს თუ მოსწონთ, მათი ნებაა. არა მგონია, ეს იქ მოსწონდეთ.

– ამბობენ, რომ მთელ მსოფლიოში რეალობა იცვლება. რუსეთი შეიძლება შეიცვალოს? ან შეიძლება, კრემლმა თავისი დამოკიდებულება, პოლიტიკური მიმართულებები შეიცვალოს?

– ჯერ კორონავირუსის ეპიდემია არ დამთავრებულა, რუსეთში ის ისევ მძვინვარებს. როცა ცვლილებებზე საუბრობენ, არ გულისხმობენ იმას, რომ პოლიტიკაში რამე შეიცვლება. ცალკეულ სახელმწიფოებში განწყობები შეიცვლება. ეს არ შეეხება მაინცდამაინც პოლიტიკურ მოწყობას.

ოკუპირებულ აფხაზეთში უარყოფენ ინფორმაციას რესპუბლიკაში არალეგალი რუსი დამსვენებლების ყოფნის შესახებ

რა პროცედურებს გადიან ენგურის გამყოფ ზოლზე „უკანონოდ“ გადასული მოქალაქეები?

მარიამ მჭედლიშვილი

შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აფხაზეთში მრავლად არიან დამსვენებლები რუსეთიდან? ეს შეკითხვა თათბირზე დასვა აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბმა.

მითქმა-მოთქმის თანახმად, რუსეთის მოქალაქეებმა უკანონოდ გადმოლახეს ფსოუს საკონტროლო-გამშვები პუნქტი და თავისუფლად ისვენებენ აფხაზეთში.

ეს ინფორმაცია უარყო აფხაზეთის „სახელმწიფო უშიშროების სამსახურის“ უფროსმა ვლადიმერ არლანმა.

– რამდენიმე დღის განმავლობაში ვამოწმებდით სხვადასხვა ობიექტსა და ტერიტორიას. არც ერთი ე.წ. დამსვენებელი არ გამოგვივლენია. ადამიანები დამსვენებლებად აღიქვამდნენ ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც ბოლო დროს დაბრუნდნენ აფხაზეთში. „დამსვენებლების“ დანარჩენ კონტინგენტს შეადგენენ რუსეთის მეშვიდე სამხედრო ბაზის სამხედროები, ასევე – რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს მუშაკები და მათი ოჯახების წევრები, – განმარტა არლანმა.

მისივე მონაცემებით, 1-დან 13 მაისის ჩათვლით ფსოუდან აფხაზეთის რეგიონში რუსეთიდან შევიდა 270 კაცი – რუსი სამხედროები და მათი ოჯახების წევრები, ასევე რესპუბლიკაში დაბრუნდა აფხაზეთის 266 მოქალაქე, 593 სატრანსპორტო საშუალება.

როგორც ირკვევა, ბოლო პერიოდში „სასაზღვრო“ დარღვევები აფხაზეთში შემცირებულია. გამყოფ ზოლზე, ენგურის საკონტროლო-გამშვები პუნქტი უკანონოდ გადაუკვეთია 123 პირს. ისინი ადმინისტრაციული წესით დაისაჯნენ. ამავე ადამიანებს ჩაუტარეს სამედიცინო შემოწმება და სახლებში გაუშვეს. თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გამოაძევეს ერთი მოქალაქე. ენგურის პუნქტიდან აფხაზეთში კანონიერად დაბრუნდა 17 ადამიანი. ისინი ენგურგამოღმა სხვადასხვა სახის მკურნალობას იტარებდნენ.

ოკუპირებულ რეგიონში კორონავირუსის გამო მარტის ბოლოს შემოღებული საგანგებო მდგომარეობა აპრილში გაუქმდა. შეზღუდვების მოხსნა ეტაპობრივად ხდება.

15 მაისიდან აფხაზეთში ამუშავდება კვების ობიექტები, ფიტნეს-ცენტრები, ქალაქებს შორის აღდგება ტრანსპორტის მოძრაობა.

ობიექტები სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური პირობების დაცვით იმუშავებენ.

ტურიზმზე ორიენტირებულ აფხაზეთის ეკონომიკას მძიმე დღეები უდგას. ტურიზმის პოლიტიკის განმსაზღვრელები გამოსავალს ეძებენ.

ამის თაობაზე საუბრობს ტურიზმის ახალი მინისტრი თეიმურაზ ხიშბა, რომელიც აფხაზეთს „ქვეყანას“ უწოდებს.

– აფხაზეთი ტურისტული ქვეყანაა. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ და ერთად ვეძებოთ აფხაზეთის ტურიზმის განვითარების ახალი გზები დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით, – უთხრა ახალმა მინისტრმა კოლექტივს.

არ არის გამორიცხული, ოკუპირებულმა აფხაზეთმა ნაწილობრივ ოკუპანტი სახელმწიფოს შავიზღვისპირა რეგიონის – კრასნოდარის მხარის ტურისტული ინდუსტრიის გეგმები და გამოცდილება გადმოიღოს.

სოჭსა და და სხვა საკურორტო ადგილებში დამსვენებლების მიღებას მალე დაიწყებენ, ოღონდ, ახლებურად. აქ იმუშავებენ სამედიცინო ლიცენზიის მქონე სანატორიუმები. დამსვენებლებს ექნებათ საგზურები.

– დამსვენებლებს უნდა ესმოდეთ, რომ ისინი ჩამოდიან სანატორიუმებში და არა კურორტზე. პლაჟები და საზოგადოებრივი ადგილები დაკეტილი დახვდებათ. ტურისტები იქნებიან მხოლოდ სანატორიუმების ტერიტორიაზე. სანიტარიული რეჟიმის დარღვევაზე პასუხისმგებლობა დაეკისრებათ სამკურნალო დაწესებულებებს, – აღნიშნავენ ოლქის ხელმძღვანელები.

თუ კორონავირუსთან დაკავშირებული სიტუაცია დასტაბილურდება, გაიხსნება სასტუმროები და პლაჟები. ამ პერიოდში შავი ზღვა ამ მონაკვეთზე ყველა მსურველისთვის გაიხსნება.

ამირან ქადაგიშვილისა და მისი შვილის სასარგებლოდ სტრასბურმა საქართველოს 12.000-12.000 ევროს გადახდა დააკისრა

2020 წლის 14 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – „ქადაგიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) და 34-ე (ინდივიდუალური საჩივრის შეტანის უფლება) მუხლების დარღვევა დაადგინა.

საქმე ეხება მომჩივნების – ამირან და ნანა ქადაგიშვილებისა (პირველი და მეორე მომჩივანი – მეუღლეები) და მათი ერთ-ერთი შვილის – არჩილ ქადაგიშვილის (მესამე მომჩივანი) მიერ წარდგენილ საჩივარს, 2004-2007 წლებში პირველი და მესამე მომჩივნის პატიმრობის არასათანადო პირობებთან და მკურნალობასთან დაკავშირებით.

საქმის გარემოებების თანახმად, 2004 წლის ივლისში ამირან და არჩილ ქადაგიშვილები დააკავეს სხვადასხვა ფინანსური დანაშაულის საფუძველზე, რომელიც უკავშირდებოდა პირველი მომჩივნის მიერ დაარსებული კომპანიის – „გამაბანკის“ საქმიანობას. 2004 წლის სექტემბერში, აგრეთვე დაკავებულ იქნა მეორე მომჩივანი – ნანა ქადაგიშვილი.

ევროპული სასამართლოს წინაშე, კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე ამირან და არჩილ ქადაგიშვილები დავობდნენ, რომ თბილისის №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრობის პირობები იყო ძალიან ცუდი. კერძოდ, მათ საკანში იყო სიბინძურე და მწერები. 10 კვ.მ. საკანი საერთოდ არ ნიავდებოდა და, ორი მომჩივნის გარდა, ოთხი სხვა პატიმარი იხდიდა სასჯელს, რომლებიც აქტიური მწეველები იყვნენ. მომჩივნები ვერ სარგებლობდნენ გასეირნების უფლებით. ამასთან, საკანში არ ჰქონდათ საპირფარეშო და დღეში მხოლოდ სამჯერ, კონკრეტულ დროებში შეეძლოთ საკნის გარეთ არსებული საპირფარეშოთი სარგებლობა.

ასევე, მომჩივნებს არ მიუღიათ თავიანთი ჯანმრთელობის პრობლემების შესაბამისი მკურნალობა (პირველ მომჩივანს აწუხებდა II ტიპის დიაბეტი, ხოლო მესამე მომჩივანს – ადენომა).

აღსანიშნავია, რომ 2006 წლის დეკემბრიდან მომჩივნები გადაიყვანეს რუსთავის №2 დაწესებულებაში, თუმცა 2007 წლის 15 აგვისტოს მომჩივანთა წარმომადგენლებმა ევროპულ სასამართლოს მიმართეს ამირან და არჩილ ქადაგიშვილების ჯანმრთელობის გაუარესების თაობაზე.

იმავე წლის 22 აგვისტოს, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ მთავრობას დააკისრა დროებითი ღონისძიება და მოუწოდა, ისინი გადაეყვანა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში.

2007 წლის 12 სექტემბერს მთავრობამ სასამართლოს აცნობა, რომ არ არსებობდა პირველი მომჩივნის გადაყვანის საჭიროება, ვინაიდან რუსთავის ციხე სათანადოდ იყო აღჭურვილი, სადაც მომჩივანს მეთვალყურეობდა სამედიცინო პერსონალი. მესამე მომჩივანთან დაკავშირებით მთავრობამ განმარტა, რომ 2007 წლის 1 სექტემბერს იგი მოათავსეს ციხის საავადმყოფოში, სადაც მას საჭირო მკურნალობას უტარებდნენ. პირველი და მესამე მომჩივანი დავობდნენ, რომ მთავრობის მიერ სათანადოდ არ იქნა შესრულებული ევროპული სასამართლოს მიერ დაკისრებული დროებითი ღონისძიება, რაც არღვევდა კონვენციის 34-ე მუხლს.

მომჩივნები აგრეთვე დავობდნენ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) და მე-7 (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე) მუხლები და დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი (საკუთრების დაცვა).

ევროპული სასამართლოს 14 მაისის გადაწყვეტილების თანახმად, 2004-2007 წლებში ამირან და არჩილ ქადაგიშვილების მკურნალობა და მათი პირობები №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იყო არასათანადო, რის გამოც დაირღვა ევროპულ კონვენციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა). აგრეთვე, სტრასბურის სასამართლომ დაადგინა კონვენციის 34-ე მუხლის (ინდივიდუალური საჩივრის შეტანის უფლება) დარღვევა, რადგან საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ პირველ მომჩივანთან მიმართებით არ შეასრულა ევროპული სასამართლოს მიერ დაწესებული დროებითი ღონისძიება და ამირან ქადაგიშვილი არ გადაიყვანეს სამედიცინო დაწესებულებაში სამკურნალოდ. სასამართლომ სხვა გასაჩივრებული მუხლების დარღვევა არ დაადგინა.

აღნიშნული დარღვევების გამო ამირან და არჩილ ქადაგიშვილების სასარგებლოდ საქართველოს დაეკისრა 12.000-12.000 ევროს გადახდის ვალდებულება.

თეკლა დავითულიანმა 3.000 ლარით დაჯარიმება საკონსტიტუციოში გაასაჩივრა

საკონსტიტუციო სასამართლომ მოქალაქე თეკლა დავითულიანს უარი უთხრა სარჩელის არსებითად განხილვაზე.

ეს ის მოქალაქეა, რომელიც 4 აპრილს სამ მეგობართან ერთად შეკრებისთვის დააჯარიმეს 3 ათასი ლარით. თეკლა დავითულიანმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.

საგანგებო მდგომარეობის დროს გამოცემული სხვადასხვა სამართლებრივი აქტი კიდევ ოთხმა მოქალაქემ გაასაჩივრა საკონსტიტუციო სასამართლოში.

მოქალაქე თეკლა დავითულიანი მიიჩნევდა, რომ დაირღვა კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფალი განვითარების უფლება და არ იყო დაცული თანაზომიერების პრინციპი. მომჩივნის აზრით, მთავრობის მხრიდან ასევე დაუსაბუთებელია, რატომ წარმოადგენს ოჯახში ერთ ჭერქვეშ ცხოვრებაზე უფრო დიდ საფრთხეს საჯარო სივრცეში შეკრება.

„პირადი ცხოვრების უფლება არ არის აბსოლუტური და იგი ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს... კონსტიტუციის ხსენებული უფლებების შეზღუდვა, თავისთავად, არაკონსტიტუციური არ არის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული პრაქტიკის შესაბამისად, გარკვეული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად ამ უფლებათა შეზღუდვა, რიგ შემთხვევებში, გარდაუვალია“, – აღნიშნულია საკონსტიტუციო სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის განჩინებაში.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე ასევე იმსჯელა გიორგი ჭაუჭიძის სარჩელზე. ის საქართველოს მთავრობის დადგენილებას ასაჩივრებდა, კერძოდ კი, მარნეულისა და ბოლნისის ჩაკეტვას.

– უკვე რამდენიმე კვირაა, ჩარჩენილი ვარ მარნეულის ტერიტორიაზე და არ მეძლევა თავისუფალი გადაადგილების საშუალება. ვთვლი, რომ დარღვეულია თავისუფალი მიმოსვლის კონსტიტუციური უფლება. საქართველოს მთავრობა ამ შეზღუდვას იყენებს ისე, რომ მე არ მაქვს დადასტურებული კოვიდ 19, – ამბობს გიორგი ჭაუჭიძე.

საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო გიორგი ჭაუჭიძის სარჩელი. არსებითი განხილვის პირველი სხდომა 15 მაისს, გაიმართება. ეს პირველი სხდომაა საკონსტიტუციოს დარბაზში, რომელიც პანდემიის პირობებში გაიმართება.

განმწესრიგებელ სხდომაზე საკონსტიტუციო სასამართლომ არ შეაჩერა სადავო ნორმის მოქმედება. ამას მოსარჩელე გიორგი ჭაუჭიძე ითხოვდა. სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოქალაქეს შეეძლება, ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს მთავრობას.

სიმონ ავალიანი ციხეში წელიწად-ნახევარი უდანაშაულოდ იჯდა

ის უზენაესმა სასამართლომ გაამართლა

სიმონ ავალიანი უდანაშაულო პატიმარია, რომელმაც ციხეში წელიწად-ნახევარი გაატარა.

მისი ადვოკატი სამართალდამცავებს მოწმეებზე ძალადობაში ადანაშაულებს.

ადვოკატის ტარიელ კაკაბაძის განმარტებით, სამართალდამცველებმა სიმონ ავალიანის საწინააღმდეგო ჩვენებები მოწმეებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მოიპოვეს.

პატიმარი უზენაესმა სასამართლომ გაამართლა.

– ბრალდების მხარე თავის პოზიციას ამყარებდა ცრუ მოწმეების ჩვენებებით. სასამართლოში ნათლად დადასტურდა, რომ ყველა ჩვენება იყო ცრუ ჩვენება და ამ მოწმეებზე თავის დროზე საგამოძიებო ორგანოს მხრიდან განხორციელდა ძალადობა, – ამბობს ტარიელ კაკაბაძე.

საუბარია ბათუმში 2017 წელს ანზორ კონცელიძის მკვლელობაზე, რის გამოც სიმონ ავალიანი ჯერ განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს, თუმცა, საბოლოოდ, პატიმრობა კონცელიძის ცემისთვის მიუსაჯეს.

გაირკვა, რომ კონცელიძე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაიღუპა, ავარიას კი წინ უსწრებდა კონცელიძესა და ავალიანს შორის მომხდარი სიტყვიერი დაპირისპირება.

ფოთში ტოიოტას ორსული მძღოლი ჯერ ქალსა და მამაკაცს დაეჯახა, მერე — შენობას

13 მაისს ფოთში, აღმაშენებლის ქუჩაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სამი პირი დაშავდა, მათ შორის ერთი ორსულია.

თვითმხილველთა ინფორმაციით, „ტოიოტას“ მარკის ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, ტროტუარზე ავარდა, ჯერ ქვეითად მოსიარულე ქალსა და მამაკაცს, შემდეგ კი შენობას დაეჯახა.

დაშავებულები სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ სენაკში კლინიკა „სენამედში“ გადაიყვანა.

– ადგილზე მისულ სასწრაფოს ბრიგადას დახვდა რამდენიმე დაშავებული ადამიანი, რის გამოც დამატებით, მეორე ბრიგადის გამოძახება გახდა საჭირო. შედარებით მძიმეა ქვეითად მოსიარულე მამაკაცის მდგომარეობა. მას ტრავმები მიღებული აქვს თავისა და მუცლის არეში. რაც შეეხება ქვეითად მოსიარულე ქალსა და მანქანაში მყოფ ორსულ ქალბატონს, მათ აღენიშნებათ მრავლობითი ზედაპირული დაზიანებები, თუმცა ორივეს მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სამივე დაშავებული გადაყვანილია სენაკში, კლინიკა სენამედში, – განაცხადა საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ფოთის ცენტრის მენეჯერმა, კესო გელენიძემ.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის დაზიანება.

ბავშვთა პორნოგრაფიის საქმეზე დაკავებულებისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმება გადაიდო

ბავშვთა პორნოგრაფიის საქმეზე დაკავებულებისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმება გადაიდო.

პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში 5 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა თუმცა ვერ მოესწრო ბრალდების და დაცვის მხარეების შუამდგომლობაზე მსჯელობა.

როგორც დაკავებულების ადვოკატები ამბობენ, გასული წლის სექტემბერში დაკავებული 10 პირიდან 9 მზადაა, აღიაროს ჩადენილი დანაშაული და საპროცესო შეთანხმება გაფორმდეს, ხოლო ერთი, რომელსაც გამოძიება დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავება, ამ შეთანხმების გაფორმების კატეგორიული წინააღმდეგია.

ადვოკატ ნოდარ ცინცაძის განცხადებით, საკითხზე მსჯელობა მომდევნო კვირაში გაგრძელდება. ბრალდებულებს 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრებათ, საპროცესო შეთანხმება კი სასჯელის შემსუბუქებას გულისხმობს.

ბავშვთა პორნოგრაფიის საქმეზე 20-ზე მეტი პირია დაკავებული, მათი უმრავლესობა არასრულწლოვნების მშობლები არიან.

ბრალდებულებს შორის არიან სკოლის პედაგოგი და საქმის მთავარი ფიგურანტი ფოტოგრაფიც, რომელიც პროკურატურის ოქროს მოწმეა.

ცოტნე გამსახურდიას მკვლელობის მცდელობის საქმის სასამართლოზე ადვოკატი და პროკურორი არ მივიდნენ

ცოტნე გამსახურდიას მკვლელობისა და დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის ბრალდებული პირების წინასასამართლო სხდომა 19 მაისისთვის გადაიდო.

როგორც ინტერპრესნიუსს ადვოკატმა ვაჟა არობელაძემ განუცხადა, 14 მაისის პროცესი, სადაც მტკიცებულებების დასაშვებობაზე უნდა ემსჯელათ, გადაიდო იმ მიზეზით, რომ პროცესზე არ გამოცხადდნენ ერთ-ერთი ადვოკატი და საქმის პროკურორი.

გასულ სასამართლო პროცესზე დაკავებული 4 პირის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გადაისინჯა და მოსამართლის, ნატო ხუჯაძის გადაწყვეტილებით, ძალაში დარჩა.

ცოტნე გამსახურდიას დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში 2 პირია მიცემული, დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის კი – 3 პირი. 5 პირიდან აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 4-ს აქვს შეფარდებული.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას შვილი, ცოტნე გამსახურდია 19 დეკემბერს დაჭრეს. შემთხვევა თბილისში, ვერაზე მოხდა. ცოტნე გამსახურდია თავდაპირველად, ხეჩინაშვილის კლინიკაში გადაიყვანეს, შემდეგ კი თურქეთის კლინიკაში, სადაც მკურნალობის კურსს ამ დრომდე გადის.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 102 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ. ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 102 ახალი ფაქტი გამოვლინდა. პოლიციამ, 13 მაისის 21 საათიდან 14 მაისის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით 89 მოქალაქე დააჯარიმა. მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე 7 პირი დააჯარიმეს.

პოლიციამ საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრებისა და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის 6 ფაქტი გამოავლინა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

ტრამპი: „ჩინეთთან საქმის დაჭერა ძვირადღირებული სიამოვნებაა“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მან ყველაფერი იღონა ჩინეთთან ურთიერთობის მოწესრიგებისთვის, მაგრამ ეს ამაო გარჯა აღმოჩნდა.

– ჩინეთთან ურთიერთობა ძვირადღირებული სიამოვნებაა! მას ზარალის მეტი არაფერი მოაქვს, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ჩინეთთან შესანიშნავი ეკონომიკური ხელშეკრულება დაიდო, მაგრამ პეკინმა ამერიკელებსა და მთელ მსოფლიოს კორონავირუსის გავრცელების ამბავი დაუმალა. ეს ყველას ძალზე ძვირად დაუჯდა.

– ჩინეთმა ამის გამო პასუხი უნდა აგოს, – დასძინა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტის ამ გამოსვლას გამოძიების ფედერალური ბიუროს განცხადება დაემთხვა. მასში ნათქვამია, რომ ჩინეთთან დაკავშირებული ჰაკერები ცდილობენ აშშ-ის კომპიუტერულ ქსელში შეღწევას, რათა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინასთან დაკავშირებული დოკუმენტები მოიპარონ.

ჩინეთის საელჩომ ამ ბრალდებას სიცრუე უწოდა.

– ამერიკელები უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევენ, – განაცხადეს ჩინელმა დიპლომატებმა.

მერკელი რუსეთის წინააღმდეგ

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ბუნდესტაგის დეპუტატებს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა ბუნდესტაგზე 2015 წლის ჰაკერული შეტევა იყო. კანცლერმა განაცხადა, რომ ამის უკან რუსეთი დგას.

– გერმანიის პროკურატურას სათანადო მტკიცებულებები მოეპოვება, – თქვა მერკელმა.

კანცლერმა ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაურის ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობის საქმე გაიხსენა. ამ დანაშაულის უკან რუსეთი იდგა. მერკელმა ხაზი გაუსვა, რომ ყოველივე ეს შემთხვევითი არ არის.

– რუსეთი მიზანმიმართულ ჰიბრიდულ ომს აწარმოებს და ეს გერმანიის ტერიტორიაზეც ხდება, – განაცხადა მერკელმა.

ამის შემდეგ კანცლერი კვლავ ჰაკერული შეტევის საქმეს დაუბრუნდა. მან თქვა, რომ ამ დროს რუსებმა ბუნდესტაგის საიტი გატეხეს და უამრავი საიდუმლო დოკუმენტი მოიპოვეს. ეს მერკელსა და დეპუტატებს შორის მიმოწერას შეეხება.

– ჰაკერული შეტევის უკან რუსეთის სამხედრო დაზვერვა დგას, – თქვა გერმანიის ლიდერმა.

მერკელმა აღნიშნა, რომ დადგენილია ზოგი რუსი ჰაკერის ვინაობა და ისიც, თუ რომელ სამხედრო ნაწილში მსახურობენ.

– ჩვენმა პროკურატურამ მათ წინააღმდეგ სისხლისსამართლის საქმე აღძრა, მაგრამ, რასაკვირველია, მხოლოდ ეს არ კმარა, – განაცხადა კანცლერმა.

მერკელმა ხაზი გაუსვა, რომ კიბერშეტევა კონკრეტული სახელმწიფოს წინააღმდეგ ამ ქვეყნის მიმართ აგრესიული ქმედების ტოლფასია. შესაბამისად, პასუხი არა რუს სამხედრო მზვერავს, არამედ რუსეთის სახელმწიფოს მოეთხოვება.

– რუსეთის წინააღმდეგ ახალი სადამსჯელო ღონისძიებები განხორციელდება, – აღნიშნა მერკელმა.

იტალიაში არალეგალ მიგრანტებს ქვეყანაში კანონიერად დასაქმების უფლება მიეცემათ

იტალიაში ათასობით არალეგალ მიგრანტს ქვეყანაში კანონიერად დასაქმების უფლება მიეცემა. არალეგალებს შეეძლებათ, ოფიციალურად წარადგინონ განაცხადი ქვეყანაში კანონიერად დარჩენისა და მუშაობის შესახებ.

12 მაისს გამოცემული განკარგულების თანახმად, ბინადრობის უფლება 6 თვის განმავლობაში იქნება ვარგისი. აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება იმ პირებს, რომლებიც ფერმებსა და სახლებში არიან დასაქმებული.

იტალიის ეკონომიკა პანდემიის შედეგად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ამჯერად ქვეყანა სოფლის მეურნეობის მოსავლის 25%-ის დაკარგვის საფრთხის წინაშეა. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ადგილობრივი სოფლის მეურნეობის ასოციაციის თანახმად, ქვეყნის მასშტაბით ფერმებში 430.000 პირი იყო დაქირავებული. მათ 16%-ს ქვეყანაში შრომის უფლება არ ჰქონდა, ხოლო თითქმის 39%-ის ანაზღაურება კოლექტიური შეთანხმებების პირობებში დაწესებულ სახელფასო განაკვეთს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა.

ბოინგი საუდის არაბეთს რაკეტებს მიაწვდის

ამერიკულმა კონცერნმა ბოინგმა საუდის არაბეთთან კონტრაქტი გააფორმა. მისი ღირებულება 1.85 მილიარდი ევროა.

შეთანხმების თანახმად, ბოინგი საუდის არაბეთს 1.000 რაკეტას მიაწვდის. ხელშეკრულებით, ადრე შეძენილი რაკეტების მოდერნიზაციაც არის გათვალისწინებული.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საზოგადოება

მედეა ამირანაშვილი 90 წლის გახდა

ოპერის მომღერალი მედეა ამირანაშვილი 90 წლის გახდა.

ოპერის მომღერლების პეტრე ამირანაშვილისა და ნადეჟდა ცომაიას შვილმა მშობლების გზა აირჩია და თავისი ცხოვრება საოპერო ხელოვნებას დაუკავშირა.

მის საშემსრულებლო ხელოვნებას კარგად იცნობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, აქვს რადიო და სატელევიზიო ჩანაწერები. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დასრულების შემდეგ, იმავე წელს შედგა მისი დებიუტი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე მარგარიტას პარტიით გუნოს „ფაუსტში“, რის შემდეგაც ამ თეატრის წამყვანი სოლისტი გახდა და შეასრულა სოპრანოს მთავარი პარტიები.

მომღერალი და პედაგოგი საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია. მათ შორისაა გლინკას სახელობის პირველი კონკურსი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის კონკურსი, ჩიო-ჩიო სანის საერთაშორისო კონკურსი ტოკიოში. ღირსების ორდენის კავალერი მედეა ამირანაშვილი სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის პროფესორი, ხალხთა მეგობრობის ორდენის მფლობელი და კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია.

90 წლის იუბილარი მომღერლისთვის ყველაზე დიდი ჯილდო და საჩუქარი მაყურებლის სიყვარულია, რომელსაც ყველგან გრძნობს.

დავით კლდიაშვილის „უბედურება“ ფრანგულად ითარგმნა

ქართველი კლასიკოსი მწერლის დავით კლდიაშვილის „უბედურება“ მწერალთა სახლის ხელშეწყობით ფრანგულ ენაზე ითარგმნა. მთარგმნელი ჯანრი კაშიაა.

ნაწარმოები ერთ-ერთი ფრანგული გამომცემლობის მიერ გამოიცა და მისი წაკითხვა მკითხველს უკვე შეუძლია.

ინოლა გურგულიას სიმღერა ნიუ იორკის სცენაზე აჟღერდა

არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორისა და მომღერლის ინოლა გურგულიას შემოქმედება დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს და მას უცხოეთში დიდი ინტერესით ასრულებენ.

ნიუ იორკის სცენაზე ინოლა გურგულიას ერთ-ერთი სიმღერა „შენთან“ სოფიომ ააჟღერა. მან ამერიკელ მსმენელს სიმღერამდე მცირე ისტორია მოუთხრო იმის შესახებ, რომ ამ სიმღერის ავტორი არაჩვეულებრივი კომპოზიტორი და მომღერალი ინოლა გურგულიაა და მისი სიმღერები დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ვიდეოჩანაწერი ინტერნეტში გავრცელდა და მან დიდი მოწონება დაიმსახურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალი ბიკინით და დამცავი ნიღბებით ვაჭრობამ გაამდიდრა

იტალიელმა დიზაინერმა და მეწარმემ კორონავირუსის პანდემიის პირობებში გასაყიდად გამოიტანა სამედიცინო ნიღბების და საცურაო კოსტიუმების ნაკრები და გამდიდრდა.

ბიკინის მაღაზიის მფლობელის ტიციანა სკარამუზოს თქმით, მისი ბიზნესი ქვეყნის ხელისუფლების მიერ შემოღებულმა გადაადგილების შეზღუდვამ დააზარალა. ამის გამო მან დაიწყო კომპლექტების დიზაინის შექმნა, რომელიც საცურაო კოსტიუმისა და დამცავი ნიღბისგან შედგება და ამით სურდა საკუთარი და ოჯახის წევრების განწყობა აემაღლებინა.

აღსანიშნავია, რომ როდესაც ქალმა სოციალურ ქსელებში განათავსა საკუთარი ქალიშვილის ფოტოსურათი, რომელიც მის მიერ შექმნილ საცურაო კოსტიუმსა და დამცავ ნიღაბშია გამოწყობილი, ფოტომ დიდი პოპულარობა შეიძინა და ბრენდის პროდუქციაზე მოთხოვნილება გაიზარდა. მყიდველებმა მარკის ნაწარმის შეძენა დაიწყეს.

დიზაინერი თვლის, რომ ხალხმა მრავალფეროვანი კომპლექტების შეკვეთა პოზიტივის მიმართ ლტოლვის გამო დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რატომ მოხვდა დინამო თასების მფლობელთა თასზე შემთხვევით

ბოლო დღეებში, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ყველა სპორტული ღონისძიება შეწყვეტილია, საუბარი 13 მაისის ირგვლივ გვიწევს. 1981 წლის ტრიუმფი რომ დღემდე დაუვიწყარია, ეს 39 წელია ვიცით, თუმცა ამ კუთხითაც გაგვიმართლა, რადგან თასების მფლობელთა თასის 1980-81 წლების სეზონში თბილისის დინამო შემთხვევით მოხვდა.

საბჭოთა ბრაზილიელები!

თბილისის დინამო თასების მფლობელთა თასზე შემთხვევით მოხვდა და გათამაშება მოიგო. დინამო სსრკ-ის ფეხბურთში 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში ნამდვილი მოვლენა იყო. გუნდს ადრეც ჰქონდა წარმატებები: სსრკ-ის ჩემპიონატი 1964 წელს, 5 მეორე ადგილი და 10 – მესამე. თუმცა ოქროს ეპოქა გუნდს 1976 წლიდან დაუდგა, როდესაც 6 სეზონის განმავლობაში მოახერხა, მოეგო სსრკ-ის ჩემპიონატი, ორჯერ თასი და ოთხჯერ მოხვდა სამეულში. დინამოს ფეხბურთელებს რეგულარულად აღიარებდნენ ქვეყნის საუკეთესო მოთამაშეებად: ნახევარმცველი დავით ყიფიანი – 1977 წელს, თავდამსხმელი რამაზ შენგელია – 1978 და 1981 წლებში, მცველი ალექსანდრე ჩივაძე – 1980 წელს.

ბურთის ჯადოქრები, საბჭოთა ბრაზილიელები – მაშინ ჟურნალისტები და გულშემატკივრები თბილისის დინამოს ამ ეპითეტებით მოიხსენიებდნენ. მაგრამ ბრწყინვალე მთავარი მიღწევა გუნდისა, რომელიც გამოჩენილმა ქართველმა მწვრთნელმა ნოდარ ახალკაცმა შეკრიბა, 1981 წლის თასების მფლობელთა თასზე გამარჯვება იყო.

დინამო მთავარი წარმატებისკენ 3 წლის განმავლობაში მიდიოდა. 1978 წლის სეზონამდე გუნდს ნიჭიერ ფეხბურთელთა დიდი ჯგუფი შეუერთდა. კარში ადგილი დაიკავა დაბალმა, მაგრამ უკიდურესად მობილურმა ოთარ გაბელიამ. დაცვაში ბრძენი ალექსანდრე ჩივაძე გამოჩნდა, ნახევარდაცვაში შრომისუნარიანი თენგიზ სულაქველიძე და ტექნიკური ვიტალი დარასელია, ხოლო რამაზ შენგელიას გოლი გოლზე გაჰქონდა. მანამდე იყვნენ საიმედო მცველები შოთა ხინჩაგაშვილი და ნოდარ ხიზანიშვილი, შეტევის მარჯვენა ფლანგიდან თამაშობდა დრიბლიორად დაბადებული ვლადიმერ გუცაევი, რომელიც, ალბათ, სსრკ-ში ბოლო ტიპური ფლანგის თავდამსხმელი იყო. რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ აღფრთოვანებას ამ გუნდის „ტვინის“ თამაში იწვევდა – დავით ყიფიანი შეტევასთან ახლოს მოქმედებდა და მოედანს განსაცვიფრებლად ხედავდა.

რეპეტიცია

დინამომ თავისებური რეპეტიცია ერთი სეზონით ადრე, 1979 წლის შემოდგომაზე ჩაატარა, როდესაც ჩემპიონთა თასის პირველ ეტაპზე ინგლისურ ლივერპულს შეხვდა, რომელიც ზედიზედ ორჯერ, 1977 და 1978 წლებში ევროპის უძლიერესი კლუბი გახდა (ასევე 1981 და 1984 წლებში).

„ენფილდზე“ დინამო“ 1:2 დამარცხდა, მაგრამ ინგლისური პრესისგან აღფრთოვანებული შეფასებები მიიღო.

გავიხსენოთ, რას წერდა ბრიტანული პოპულარული გაზეთი დეილი ექსპრესი:

– 16 წლის განმავლობაში ლივერპულთან ევროპულ ტურნირებზე თბილისის დინამოს დონის თამაში მხოლოდ სამმა გუნდმა აჩვენა: აიაქსმა – 1967 წელს, ფერენცვაროშმა – 1968 წელს და ბელგრადის ცრვენა ზვეზდამ – 1974 წელს. შესანიშნავი დინამო იშვიათი ნიჭის გუნდია.

ფეხბურთის დამკვირვებლის დევიდ მილერის ეს სიტყვები სულაც არ იყო წაგებული მხარის მიმართ გაკეთებული ქათინაური. 2 კვირის შემდეგ თბილისში დინამომ ნამდვილი სენსაცია მოახდინა და ჩემპიონთა თასის მოქმედი გამარჯვებული 3:0 დაამარცხა! ამასთან, ეს ყველაფერი წმინდა ბრიტანულ ამინდში, ოქტომბრის თავსხმა წვიმაში მოახერხა – ქართველმა ფეხბურთელებმა მრისხანე მეტოქეს ნამდვილი მასტერკლასი ჩაუტარეს. ინგლისელების მწვრთნელმა ბობ პეისლიმ აღიარა, რომ საბჭოთა ჩემპიონის პოტენციალი ვერ შეაფასა.

შემდეგ ეტაპზე დინამოს კიდევ ერთი სერიოზული მეტოქე შეხვდა – დასავლეთ გერმანიის ჰამბურგი, სადაც იმ დროის საუკეთესო ევროპელი ფეხბურთელი, „ოქროს ბურთის“ ინგლისელი მფლობელი კევინ კიგანი თამაშობდა. ჰამბურგმა თასის მფლობელთა თასი 2 წლით ადრე თავადაც მოიგო. თბილისელებმა სტუმრად 1:3 წააგეს.

თბილისში, 90.000 გულშემატკივრის მხარდაჭერით, დინამო მე-5 წუთზე დაწინაურდა. სტუმართა მეკარეს საქმე არ აკლდა და ოფლს ღვრიდა, ხოლო გერმანელებმა პირველი შეტევა მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ წამოიწყეს, მაგრამ 35-ე და მე-40 წუთზე ჯერ კევინ კეიგანმა, შემდეგ კი გერმანიის ნაკრების თავდამსხმელმა

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

რატომ მოხვდა დინამო თასების მფლობელთა თასზე შემთხვევით

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ჰორსტ ჰრუბეშმა გაიტანეს და გერმანელები დააწინაურეს. თბილისელებმა შესვენებამდე ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს, მაგრამ ჰამბურგმა 56-ე წუთზე მესამეც გაიტანა და შემდეგი ეტაპის გამარჯვებულის შესახებ კითხვები მოხსნა. მაგრამ ამ მატჩებში მიღებული გამოცდილება დინამოს მომავალში წაადგა.

შემთხვევით მოხვედრილები

სხვათა შორის, თბილისის დინამო თასის მფლობელთა თასის 1980-81 წლების გათამაშებაში შემთხვევით მოხვდა. 1979 წლის სსრკ ჩემპიონატი ქართულმა გუნდმა მე-4 ადგილზე დასრულა და 1980/81 წლების სეზონში მონაწილეობა უეფას თასზე უნდა მიეღო. საქმე ის არის, რომ ევროგათამაშების წილისყრა ივლისის დასაწყისში ჩატარდა, ხოლო 1980 წლის სსრ კავშირის თასის ფინალი, მოსკოვის ოლიმპიადის გამო, კალენდარში 11 აგვისტოს ჩასვეს.

არსებული ვითარების გამო უეფამ უკმაყოფილება გამოხატა და დაიმუქრა, რომ თასის მფლობელთა თასზე სსრკ-ის წარმომადგენელს არ დაუშვებდა. საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციას გაუმართლა, რომ თასის ფინალში გავიდნენ წინა ჩემპიონატის მეორე (დონეცკის შახტიორი) და მეოთხე (თბილისი დინამო) ადგილზე გასული გუნდები და ეს მაისში იყო ცნობილი. ორივემ მიიღო უეფას თასის საგზურები, შემდეგ კი საბჭოთა ფედერაციამ გადაწყვიტა: არა აქვს მნიშვნელობა, როგორ დასრულდება ფინალი, უეფას თასზე შახტიორი ითამაშებდა, ხოლო დინამო – თასების თასზე. უეფას თასის გათავისუფლებული ადგილი ჩემპიონატის მეხუთე-ადგილოსან გუნდს, მოსკოვის დინამოს გადაეცა.

უეფამ ცოტა „წაიბუზღუნა“, მაგრამ საბჭოთა განაცხადს „გზა დაულოცა“. არადა, 1980 წლის თასის გამარჯვებული შახტიორი გახდა, რომელმაც დინამო 2:1 დაამარცხა, ანუ ქართულ გუნდს უეფას თასზე უნდა ეთამაშა, ხოლო თასების მფლობელთა თასზე უკრაინელები უნდა გასულიყვნენ.

კარგი სტარტი

დინამომ ადვილად დაიწყო და მშვიდად შეასრულა მინიმალური დავალება და მეოთხედფინალში გავიდა. თუ 1979 წლის ზაფხულში წილისყრა თბილისის მიმართ უმოწყალო იყო და მეტოქეებად ლივერპული და ჰამბურგი შეახვედრა, თასების თასზე სასურველი მეტოქეები დაუწყვილა. პირველ ეტაპზე თბილისელები ევროშეჯიბრებების დებიუტანტს, ნაკრებად ცნობილ ბერძნულ კასტორიას შეხვდნენ, რომელიც 20.000-იან პატარა ქალაქს წარმოადგენდა და საერთაშორისო მატჩების მისაღებად ნორმალური სტადიონიც არ ჰქონდა. ამიტომ მატჩი კასტორიიდან 220 კილომეტრში, სალონიკში ჩატარდა, სადაც, მიუხედავად ბერძნული სტანდარტებით მნიშვნელოვანი დისტანციისა, გუნდის მხარდასაჭერად ქალაქის მოსახლეობის მეოთხედი წავიდა! საბერძნეთში დინამომ 0:0 ითამაშა, ხოლო თბილისში 2 უპასუხო გოლი გაიტანეს.

მერვედფინალში დინამოს მეტოქე დაახლოებით იმავე დონის გუნდი იყო – ირლანდიური უოტერფორდი. ლურჯ-თეთრებმა სტუმრად 1:0 მოიგეს, შინ კი 4:0 დაამარცხეს და ამით ევროსეზონის დავალება, ფაქტობრივად, შეასრულეს.

ეს იმიტომ, რომ დინამო ევროტურნირზე მეექვსედ თამაშობდა და მერვედფინალში მანამდე ერთხელაც ვერ გავიდა. ამრიგად, თასების თასებზე თბილისელებმა აქამდე მიუწვდომელი ბარიერი გადალახეს, რაც ამ ევროსეზონის მთავარი ამოცანა იყო.

ალექსანდრე ჩივაძე:

– მეშვიდედ ვიყავით ევროტურნირებზე, მაგრამ მანამდე მერვედფინალი არ გადაგველახა. ამიტომ მთავარ ამოცანად მეოთხედფინალში გასვლა იყო დაგეგმილი. ეს რთული გასაკეთებელი არ აღმოჩნდა, რადგან იოლად გასავლელი ბარიერები შეგვხვდა, იმის მიუხედავად, რომ სალონიკში პირველი მატჩი უგოლოდ ვითამაშეთ.

დასჯილი ვესტ ჰემი

მეოთხედფინალში, 1981 წლის მარტში, თბილისის მოწინააღმდეგე გაცილებით სერიოზული იყო – ინგლისური ვესტ ჰემი. ლონდონელები ჩემპიონშიფის (რანგით მეორე დივიზიონის) ლიდერები იყვნენ და პრემიერლიგაში გადასვლისთვის იბრძოდნენ. 1980 წლის მაისში მათ სენსაციურად მოიგეს ინგლისის თასი, სადაც ფინალში ლონდონის არსენალი დაამარცხეს. ვესტ ჰემის შემადგენლობაში იმ დროის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი იყო ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი ტრევორ ბრუკინგი, თავად გუნდი კი ბრიტანული ფეხბურთისთვის ატიპურად აღიარეს, რადგან უპირატესობას კომბინაციურ სტილს ანიჭებდა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იყო შანსი, ვესტ ჰემს მეოთხედფინალამდე არასპორტული მიზეზის გამო ვერ მიეღწია. პირველ ეტაპზე ლონდონელები მადრიდში კასტილიას შეხვდნენ და იქ მათმა გულშემატკივრებმა ნამდვილი ხოცვა მოაწყვეს, რის შედეგადაც მათი ერთი ფანი გარდაიცვალა.

უეფას სადისციპლინო კომიტეტის შეხვედრა ინციდენტთან დაკავშირებით დაახლოებით 4 საათს გაგრძელდა. შედეგად ვესტ ჰემი 30.000 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს, განმეორებითი მატჩი უმაყურებლოდ ჩაატარებინეს და რეპორტაჟის წაყვანაც აუკრძალეს. სტადიონზე მხოლოდ 70 ადამიანი დაუშვეს – ფეხბურთელები, პერსონალი, ოფიციალური პირები და ჟურნალისტები. იმის გათვალისწინებით, რომ ესპანეთის დედაქალაქში ვესტ ჰემი 1:3 დამარცხდა, გასვლის მცირე შანსები ჰქონდა, მაგრამ ლონდონში ძირითადი დრო მასპინძლებმა ზუსტად იმავე ანგარიშით მოიგეს, ხოლო დამატებით ნახევარ საათში კიდევ 2 გოლი გაიტანეს და მეოთხედფინალში გავიდნენ.

ვესტ ჰემის „აპტონ პარკზე“ 40.000 გულშემატკივრის თანდასწრებით ნოდარ ახალკაცის გუნდმა მეტოქე 4:1 გაანადგურა.

ალექსანდრე ჩივაძე:

– ლონდონური მატჩის შემდეგ და კიდევ დიდხანს ხშირად გვესმოდა, რომ მე-2 ლიგის გუნდი დავამარცხეთ. ასე მხოლოდ მათ შეეძლოთ საუბარი, ვინც ინგლისურ ფეხბურთს ცუდად იცნობდა. ვესტ ჰემი ლიდერობდა მე-2 ლიგას და წინა წლის, ინგლისის თასის მფლობელი იყო. ჩვენი თავისთვის ცუდი ჩვენვე გავაკეთეთ – ლონდონში 4:1 მოვიგეთ და მათი „ეჭვები“ გავამართლეთ. იქ მინიმალური ანგარიშით რომ მოგვეგო, ალბათ, უფრო შეგვაქებდნენ.

სხვათა შორის, მეორე შეხვედრაში საქართველოში ბრიტანელებმა 1:0 მოიგეს. მიუხედავად იმისა, რომ ვესტ ჰემი რანგით მეორე დივიზიონის გუნდი იყო, სუსტი ნამდვილად არ ყოფილა. „ჩაქუჩებმა“ იმ სეზონში თავისი დივიზიონი დამაჯერებლად მოიგეს, პრემიერლიგაში გადავიდნენ და შემდეგ 3 სეზონის განმავლობაში ათეულში ხვდებოდნენ.

აი, რას წერდა მაშინდელი საბჭოური პრესის ყველაზე პრესტიჟული ყოველკვირეული გაზეთი ფუტბილ-ჰოკეი.

– ი ს, რომ თბილისელები ტაქტიკურად კომპეტენტურად, გონივრულად თამაშობდნენ, სიმართლეა, მაგრამ საკმარისი არ არის. იმის თქმა, რომ ძალები მაქსიმალურად გაიღეს, მხოლოდ ფაქტის დაფიქსირებაა. იმის თქმა, რომ თითოეულმა მათგანმა განსაკუთრებული უნარი გამოავლინა, ეს ნიშნავს იმას, რომ არაფერი დავამატოთ იმაზე, რაც მათ შესახებ აქამდე ვიცოდით.

უტიფარი ავსტრიელი მსაჯი

დინამო ნახევარფინალში ნიდერლანდურ ფეიენორდს შეხვდა. ეს იყო გამოცდილი გუნდი, ვარსკვლავების გარეშე. დინამომ საშინაო მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა და დამაჯერებლად გაიმარჯვა – 3:0.

– ვიცოდი, როგორ თამაშობენ ყიფიანი, ჩივაძე, გუცაევი. ახლა ისინი ჩვენმა ფეხბურთელებმაც ნახეს. ფინალამდე გასვლის იმედს მაინც არ ვკარგავთ, – თქვა პრესკონფერენციაზე როტერდამელთა გუნდის მწვრთნელმა ვაცლავ ეჟეკმა, რომელმაც 1976 წელს ჩეხოსლოვაკიის გუნდთან ევროპის ჩემპიონატი მოიგო.

საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში თბილისელები დიდ სირთულეებსა და არაადეკვატურ მსაჯობას წააწყდნენ. ავსტრიელი მსაჯი ფრანც ვიორერი მასპინძლების მხარეს იჭერდა, 57-ე წუთზე კი, როდესაც მასპინძელთა სასარგებლოდ ანგარიში 1:0 იყო, თბილისელთა კარში გაუგებარი პენალტი დანიშნა, თუმცა ფეხბურთელის მოქმედებას აშკარა სიმულაციის სუნი ასდიოდა.

– როტერდამში ნიდერლანდელებმა და მსაჯმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ფინალში არ გავსულიყავით. 3 ასპროცენტიანი გოლი გავიტანეთ, მაგრამ ერთიც არ ჩათვალა! ორჯერ მსაჯმა ხელი ცენტრისკენ გაიშვირა, მაგრამ ასისტენტებთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა, ხოლო ფეიენორდმა მეორე გოლი მოგონილი პენალტით გაიტანა. ჩემს ცხოვრებაში ასეთი მსაჯობა არასდროს მინახავს და არც მსმენია. მთელი მატჩი ბინძურ სიტყვებს ვისმენდით, ხოლო ტრიბუნებზე ასობით ჩვენს გულშემატკივარს ლუდი დაასხეს და ცარიელი ბოთლები ესროლეს. ჩვენ მაინც გადავრჩით. ბოლო წუთებზე, როდესაც ჰოლანდიელთა ზეწოლა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო, ნამდვილად გავბრაზდი, თამაში საკუთარ თავზე ავიღე და მეტოქის მცველები ვაიძულე, საკუთარ ნახევარზე დარჩენილიყვნენ. შტურმისგან ამან გვიხსნა, – გაიხსენა წლების შემდეგ დინამოს თავდამსმელმა, აწ გარდაცვლილმა რამაზ შენგელიამ.

ფინალი

დადგა სანუკვარი ფინალი – მოწინააღმდეგე აღმოსავლეთ გერმანიის კარლ ცეისია. ახალგაზრდა გულშემატკივრებს ამ კლუბის შესახებ, სავარაუდოდ, არაფერი სმენიათ. თუმცა მის ძალასთან დაკავშირებით აზრი აუცილებლად შეეცვლებათ, როდესაც გერმანელების მიერ ფინალამდე გამოგდებული კლუბების სახელებს წაიკითხავენ – იტალიური რომა, თასის თასის მოქმედი გამარჯვებული ესპანური ვალენსია და პორტუგალიური ბენფიკა.

ისევ **შენგელიას** სიტყვები:

– ფინალამდე შევხვდით ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც დიდხანს გვთხოვდა, მოგვეგო, თანაც ისე, როგორც პატარა ბიჭი თავის კერპს ავტოგრაფს სთხოვს, გამარჯვებისთვის კი, „ოქროს მთებს“ შეგვპირდა. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელად შინაგან საქმეთა მინისტრის მაშინდელი მოადგილე შოთა გორგოძე დანიშნა და გვითხრა, თუ გავიმარჯვებდით, ის დაწინაურდებოდა, დამარცხების შემთხვევაში კი თანამდებობიდან გაათავისუფლებდა.

ფეხბურთელები ნერვიულობდნენ. მატჩის დაწყებამდე ოთარ გაბელიამ შერემეტიევოდან ფრანკფურტის მიმართულებით ფრენისას ფორმა დაკარგა. წარმოიდგინეთ მეკარე ფორმის გარეშე! ალექსანდრე ჩივაძემ მას ბუცები აჩუქა. თავად ჩივაძე მინდორზე მაღალი ტემპერატურით გავიდა.

გერმანელებმა დინამოს ყველა მთავარი ფეხბურთელი გააანალიზეს და შეარჩიეს პირადი მეურვეობის ტაქტიკა, რომელიც ესპანეთის, იტალიისა და პორტუგალიის გუნდებთან წარმატებით გამოცადეს.

ამ მატჩის პერიპეტიებზე ბევრს არაფერს დავწერთ – თითქმის ყველამ ზეპირად იცის. მხოლოდ გუნდის კაპიტნის, **ალექსანდრე ჩივაძის** სიტყვებს გავიხსენებთ:

– ის, რაც ვიტალიმ ჩაიდინა, იყო ნამდვილი შედევრი. მატჩის დასრულებამდე 3 წუთი რჩებოდა და გაუთვითცნობიერებლად დამატებითი დროისთვის ვემზადებოდით, თუმცა საჭირო მომენტში დარასელიამ საკუთარ თავზე აიღო ინიციატივა და ინდივიდუალური ოსტატობით მატჩის ბედი გადაწყვიტა.

დასასრული

ფინალური სასტვენის შემდეგ მოედანზე დინამოს 2 ფეხბურთელი იტალიელ მსაჯს მივარდა. მიზეზი ბურთი გახდა – ყველას მისი სამახსოვროდ წაღება სურდა. შემდეგ ეს სპორტულ-ფორმიანმა მამაკაცმა მოახერხა, მსაჯს ბურთი გამოსტაცა და გავარდა. ის მასაჟისტი ანზორ გაბიტაშვილი აღმოჩნდა.

1981 წელს პიკის შემდეგ ნოდარ ახალკაცის გუნდი სწრაფად დაეცა მანამდელ პოზიციაზე. ერთი წლის შემდეგ მან მიაღწია თასის თასის ნახევარფინალამდე, სადაც ბელგიურ სტანდარტთან დამარცხდა. 1982 წლის სეზონის ბოლოს დინამო სხვადასხვა მიზეზის გამო წამყვანი ფეხბურთელების დიდმა ჯგუფმა დატოვა, რაც მისი დაღმასვლის მიზეზი გახდა.

დავით ყიფიანმა კარიერა ტრავმის გამო დაასრულა, ქუთაისის ტორპედოში გაემგზავრნენ მცველები ნოდარ ხიზანიშვილი, თამაზ კოსტავა და მეკარე ოთარ გაბელია. 1982 წლის დეკემბერში დიუსელდორფის ფინალის გამარჯვებული გოლის ავტორი ვიტალი დარასელია ავტოავარიაში დაიღუპა, ვლადიმერ გუცაევმაც არასაფეხბურთო ასაკს მიაღწია.

დინამოსთვის ეს დანაკარგი აუნაზღაურებელი გამოდგა. შედეგად, თბილისელებმა სსრკ-ის 1983 წლის ჩემპიონატში მხოლოდ მე-16 ადგილი დაიკავეს და საბჭოთა კავშირის დაშლამდე მე-5 მაღალი პოზიცია ვერ დაიკავეს. საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი გუნდის ისტორია ასე უცებ დასრულდა.

მოამზადა მისელ ყორყოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით ახლო მეგობრის

ემილი ლაგვილავას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

გურამ კვიკვინია და ბადრი ლომაია

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 2. პატარა ბუ; 3. კუნძულოვანი სახელმწიფო აზიაში; 4. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 5. იტალიელი მოდელიორი; 8. ცეცხლგამძლე თიხის ლაბორატორიული ჭურჭელი; 9. ქართველი პოეტი ქალი; 12. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. მუსლიმთა ყოველდღიური ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 16. ბრაზილიელი მწერალი.

თარაზულად: 1. საეკლესიო წესით ქორწინება; 6. სოფოკლეს ტრაგედია; 7. საზეიმო ხასიათის დიდი ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკალური ნაწარმოები; 9. წყალქვეშა სამუშაოებისთვის განკუთვნილი ჰერმეტული კამერა; 10. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. იურიდიულად გაფორმებული სავალო ხელწერილი; 13. მოკლე ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 15. დიპლომატიური კურიერი, სპეციალური დალუქული ჩანთა; 17. ისტორიული მოედანი პარიზში; 18. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 19. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 20. პარიზის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პურადი; 2. ტალი; 3. ბუკინისტი; 4. ლარნი; 5. შარტავა; 8. „კაჰორი“; 9. სალვადორი; 12. ტაპირი; 14. ხახული; 16. აყირო.

თარაზულად: 1. პალიასტომი; 6. ლუიზიანა; 7. რაშკული; 9. სატივე; 10. პიცა; 11. ბორჩალო; 13. მახტა; 15. „კადიმა“; 17. დიხაშხო; 18. „ჩინური“; 19. ოფელია; 20. პოლინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაკარა; 2. „პეჟო“; 3. სამშვილდე; 4. კინტო; 5. ბაიკალი; 8. „ტვენტე“; 9. კარდინალი; 12. კონცხი; 14. ხუდონი; 16. აშარი.

თარაზულად: 1. ბორისპოლი; 6. კაროლინა; 7. კურტაჟი; 9. კრიშნა; 10. თორა; 11. ანანური; 13. ბახში; 15. „ბოჰემა“; 17. მეოტიდა; 18. მცხეთა; 19. ელინგი; 20. „ფილიპსი“.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2037

ევრო — 3.4779

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.9380

100 რუსული რუბლი — 4.9579

ამინდის პროგნოზი 15 მაისისთვის

ანდრეი შევჩენკო: „მინდა, მომავალში მილანის მწვრთნელი გავხდე“

მილანის ლეგენდა ანდრეი შევჩენკომ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას სურს მილანში დაბრუნება, მაგრამ ჯერჯერობით ეს არ შეუძლია, რადგან ის უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელია:

– ჯერჯერობით არსად წასვლა არ შემიძლია, რადგან უკრაინის ნაკრებში ბევრი სამუშაო მაქვს, მაგრამ მომავალში შეიძლება, ყველაფერი მოხდეს და მილანში დაბრუნებას არ გამოვრიცხავ. მილანი ძალიან მიყვარს და ამ გუნდის განვითარებაში მინდა, რომ ჩემი წვლილი შევიტანო.

ანდრეი შევჩენკომ მილანში 6 წელი გაატარა და ის ამ გუნდის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

დელე ალი გაძარცვეს

ტოტენჰემის ფორვარდი დელე ალი საკუთარ სახლში გაძარცვეს.

მას თავს შეიარაღებული პირები დაესხნენ. ისინი ორნი იყვნენ და მათ გაქცევა მოახერხეს. დელე ალი არ დაშავებულა.

ფეხბურთელმა უკვე მიმართა პოლიციას და საქმეზე დაწყებულია გამოძიება.

დელე ალის ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

მასთან ერთად მეგობარი გოგონაც იმყოფებოდა, რომელიც ასევე არ დაშავებულა.

დემბელემ ტრავმა მოიშუშა და ვარჯიში განაახლა

ბარსელონის ფრანგი ფორვარდი უსმან დემბელე ბარსელონაში დაბრუნდა და ვარჯიში განაახლა. იანვარში დემბელემ ოპერაცია გაიკეთა, რადგან მას ხშირად აწუხებდა ტრავმები, რომლის გამოც დემბელემ ბევრი შეხვედრა გამოტოვა.

დემბელე, შესაძლოა, ბარსელონამ გაყიდოს, თუ მისი მსურველი 70 მილიონს გადაიხდის. განსაკუთრებით თუ ბარსელონა ლაუტარო მარტინესს იყიდის, მაშინ დემბელეს ადგილი აღარ იქნება.

იუმორი

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– სახე პავიანის მაიმუნის უკანალივით გაქვს აწითლებული.

– რა მითხარი?!!

– მაგარი ქურთუკი გაცვია.

– არა, შენ რაღაც თქვი ჩემ სახეზე.

– მრგვალი სახე გაქვს.

– არა, შენ თქვი, რომ სახე პავიანის უკანალივით წითელი მაქვს!

– მაშინ რაღას მეკითხები?

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– წარმოგიდგენია, როდესაც გაგიცანი, ვფიქრობდი, რომ სულელი, თავქარიანი ქალი იყავი, რომელიც ყველას აძლევდა.

– და ახლა?

– ახლა ვფიქრობ, ექსტრასენსად ხომ არ დავიწყო მუშაობა.

●●●

მაღალი წრის წვეულებაზე ერთი სტუმარი მეორეს ეუბნება:

– დღემდე არ მრგებია თქვენი მეუღლის გაცნობის ბედნიერება!

– და რატომ გგონიათ, რომ ეს ბედნიერებას მოგიტანთ?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს უყვება:

– გუშინ ერთი წიგნი წავიკითხე და გადავწყვიტე, დღევანდელი დილა ღიმილით დამეწყო. მივედი სამსახურში, ყველას გულწრფელი ღიმილით ვხვდები...

– მერე?

– საღამოს უფროსმა თავისთან მიხმო და მითხრა: „კიდევ ერთხელ მოხვალ სამსახურში დაბოლილი და გაგაგდებ!“

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ია ფარულავა კომენდანტის საათს აპროტესტებს



მსახიობი ია ფარულავა კომენდანტის საათს აპროტესტებს:

– ისე, რა ცხვრებივით მივეჩვიეთ 9-ზე სახლში შეყუჟვას...

არა, მე ისედაც 9-ზე სულ სახლში ვარ თითქმის სხვა დროსაც, მაგრამ, ვფიქრობ, რომ უკვე გვაჩმორებენ.

ანიტა რაჭველიშვილი: „დაანებეთ რაჭას თავი!“

ოპერის მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი მოუწოდებს ყველა იმ ადამიანს, რომლებიც რაჭის განადგურებაში არიან ჩართული, დროულად მოეგონ გონს და უარი თქვან იქ ჰესების აშენებაზე:

– რაჭაში ხეები იჩეხება წარმოუდგენელი რაოდენობით. საქართველო ისედაც ბევრ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს და საზღვარგარეთ ყიდის, იმდენს გამოიმუშავებს რომ მთელ საქართველოს მოსახლეობას უფასოდ უნდა მიეწოდებოდეს, ესენი კიდევ ჰესების აშენების „აუცილებლობაზე“ საუბრობენ და თვალსა და ხელს შუა ატყუებენ მოსახლეობას!

ჩვენი ბრალია! ძალიან ბევრი კრიმინალური და ამაზრზენი ქმედება ვაპატიეთ ამ მოღალატე მთავრობას და გავჩუმდით! ამჯერად ეს შეცდომა აღარ უნდა დავუშვათ. შემოგვიერთდით ყველა, გთხოვთ და ნუ დავუშვებთ რაჭის განადგურებას. მიწასთან გაასწორებს ამ ჰესის მშენებლობა მთელ რეგიონს. კრიმინალი და საქართველოს გამანადგურებელი ხართ, ბიძინა ივანიშვილო და ისედაც მთელი აჭარა გადათხარეთ და გაანადგურეთ, საყდრისი აააფეთქეთ და იმდენ მოღალატეობრივ და ამაზრზენ საქმიანობას ეწევით, რომ მთელი სიცოცხლე ციხეში უნდა გაატაროთ თქვენ და თქვენმა ქვეშევრდომებმა.

არ დავუშვებთ საქართველოს განადგურებას! დროა, თქვენთვის იდეალურ ადგილზე მოთავსდეთ! ციხეში!

დაანებეთ რაჭას თავი! რაჭას არ დავთმობთ! აქციებს გავმართავთ და არ მოგცემთ რაჭისა და რიონის განადგურების უფლებას! კარგად დაიმახსოვრეთ ეს და გაითავისეთ!

ევროპის საბჭო მაყურებელს ქართული ფილმების კვირეულს სთავაზობს

გასული წლის ნოემბერში საქართველო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა. ამასთან დაკავშირებით სტრასბურმა არაერთ კულტურულ ღონისძიებას უმასპინძლა. მათ შორის იყო ქართული ფილმების რეტროსპექტივა, რომელიც მარტში კინოთეატრ „ოდისეში“ გაიმართა.

კორონავირუსის პანდემიის გამო ევროპის საბჭო მაყურებელს ქართული ფილმების კვირეულს ონლაინ შესთავაზებს. კვირეულის ფარგლებში ნაჩვენები იქნება ქართული ფილმები: ლანა ღოღობერიძის „ოქროს ძაფი“, ზაზა ხალვაშის „ნამე“, ნუცა ალექსი-მესხიშვილის „კრედიტის ლიმიტი“, ნინო ყვანიას „აღლუმი“, ლევან თუთბერიძის „მოირა“, ლევან კოღუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“, დიმიტრი ცინცაძის „ჩაისუნთქე-ამოისუნთქე“, სალომე ჯაშის „დაისის მიზიდულობა“ და რატი ონელის „მზის ქალაქი“.

ჯანო ანანიძეს ბათუმის დინამო ეპატიჟება

ჯანო ანანიძე, შესაძლოა, საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნდეს და ბათუმის დინამოს შეუერთდეს. ანანიძე დინამოსთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და, თუ მხარეები შეთანხმდებიან, ჯანო დინამოს ფეხბურთელი გახდება.

ანანიძემ კარიერის დიდი ნაწილი მოსკოვის სპარტაკში გაატარა და ის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ქართველ ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ ტრავმებმა მისი კარიერის განვითარებას ხელი შეუშალა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

15 მაისისთვის

ვერძი – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – კარგი დროა ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით, დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. თავს ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – შემოქმედ ადამიანებს კეთილისმყოფელი დღე აქვთ. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თქვენს მტრებზე შური არ იძიოთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – არც ზედმეტი თავდაჯერებულობა ვარგა და არც გაუბედაობა. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – ძალიან გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – ვარსკვლავები სასიყვარულო ურთიერთობებში გეხმარებიან. ბედი გწყალობთ. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

კონსტანტინე გამსახურდიამ მამისა და ბაბუის უცნობი ფოტო აღმოაჩინა

უმცროსმა კონსტანტინე გამსახურდიამ ბაბუის, მწერალ კონსტანტინე გამსახურდიასა და მისი შვილის, ზვიად გამსახურდიას ისტორიული ფოტო აფხაზური ლიტერატურის მცოდნის ნიკა ბაძაღუას დახმარებით აღმოაჩინა:

– ნიკა ბაძაღუამ, აფხაზური ლიტერატურის შესანიშნავმა მცოდნემ და მთარგმნელმა, მოიპოვა ეს ისტორიული ფოტო. მასზე ვხედავთ აფხაზ პოეტ ივანე თარბას, ასევე კარლო კალაძეს, ზვიად გამსახურდიას, მარინა ეფრემოვა-ეშბას, კონსტანტინე გამსახურდიას, ხუხუტი ბღაჟბასა და ვიანორ კოკაიას. ფოტო გადაღებულია 60-იანი წლების დასაწყისში.

ივანე თარბა აფხაზი ლეონიდი მეფეების, ბაგრატ III-ისა და არზაყან ემხვარის სულის კაცი იყო. იგი სტუმრად ნამყოფია კონსტანტინესეულ „აფსუა აბაასა“. ეს არის „აფხაზური სახლი“ ქართულად, რომელიც ბიჭვინთასთან, ლიძავაში იდგა. თარბა მეგობრობდა გალაკტიონ ტაბიძესთან, გოგლა ლეონიძესთან, შოთა ნიშნიანიძესთან, მუხრან მაჭავარიანთან და სხვა მწერლებთან. ფოტოზე ვხედავთ ასევე დიდებულ ადამიანს, ასეთივე სულის აფხაზს, პროფესორ ხუხუტი ბღაჟბას, ავტორს წიგნისა ბზიფის აფხაზურ დიალექტზე. თავად ფაქტი ასეთი ადამიანებს არსებობისა ასაზრდოებს იმედს, რომ ოდესმე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯვარედინი ა



შვეულად: 1. გარეული მტრედი; 2. ნავსადგური საქართველოში; 3. ფრანგი მწერალი, მეიგავე; 4. ნელი მუსიკალური ტემპი; 5. ქვის ხანის უკანასკნელი პერიოდი; 8. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 9. პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტი; 12. დაღესტნელთა სახელწოდება ძველად საქართველოში; 14. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 16. კოლხეთის მითოლოგიური მეფე.

თარაზულად: 1. საღებავი ნივთიერება, რომელიც მწვანე ფერს აძლევს მცენარის ფოთლებს; 6, ქართული მარიონეტების თეატრის ფუძემდებელი; 7. მამისონის უღელტეხილსა და დარიალის ხეობას შორის არსებული ისტორიული ქართული მხარე; 9. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 10. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 11. კენჭებისგან შექმნილი ნახატი ან ორნამენტი; 13. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 15. მექსიკური არაყი; 17. სავაჭრო-კომერციული საქმიანობა; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 19. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 20. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა